ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 8 ოქტომბერი 2005 №231 (2554) ფასი 50 თეთრი





# გაიოზ დარსაძე ორი წლით

## ალმასკომი ქართველ მწვრთნელს ენდო



# ყაზახეთმა მოგვიგო

# 0:1

## ნეტავ, ყირგიზეთი რას გვიზამს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მაშ ასე, საქართველოს ნაკრებს უკვე მართლა მწვრთნელი ჰყავს — გაიოზ დარსაძე, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელმა აღმასკომმა ამ პოსტზე ორი წლით დაამტკიცა. მართლა მწვრთნელიო, ვამბობთ, რადგანაც დარსაძე აქამდე დროებითი მწვრთნელი იყო, 8 აგვისტოს დანიშნული, პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის მაშინდელი თქმით, 12 ოქტომბრამდე, ანუ ამ შესარჩევი ციკლის ბოლომდე.*

*ახლა უკვე სანერვიულო და საფიქრალიც არაფერი გვაქვს, ორი წელიწადი ანუ ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე შეგვიძლია მშვიდად ვუცქიროთ საქართველოს ნაკრების თამაშს*



# ახალკაცს და დარსაძეს ორი წლის შემდეგ ვკითხოთ...
## დღეს მომავალი ვიკითხოთ

ვერ გეტყვით, ნოდარ ახალკაცმა მწვრთნელად გაიოზ დარსაძე რატომ და რა დამსახურების გამო დანიშნა, თუმცა ამ ნაბიჯს რომ გადადგამდა, ცხადი იყო იმთავითვე, რაც ის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ახალკაცმა სადარსაძეოდ ჯერ ნიადაგი შეამზადა და ნაკრები დროებით ანდო, დანიასთან სამარცხვინო 1:6 წაგების მერე კი მწვრთნელს „ამაგი“ დაუფასა. პარადოქსია, მწვრთნელმა, რომელმაც 1:6 წააგო, ერთ თვეში ნაკრები მთელი ორი წლით ჩაიბარა. ასეთი მხოლოდ ამ ქვეყანაში უნდა მოხდეს და ჩვენი საქმე მთელ დუნიას სასაცილოდ მიეცეს. ახალკაცი კი გენიოსი ყოფილა, დანიასთან წაგების შემდეგ დარსაძის გენია თუ დაინახა...

მოკლედ, რაც არის ეგაა, ნაკრები პატრონს ჩააბარეს, ამ პატრონს კი ფრანგი თანაშემწე, იტალიელი მრჩეველი და ერთიც ტალანტების ამომრჩენი გერმანელი მიაბარეს.

კიდევ, ახალკაცმა სამი ვიცე-პრეზიდენტიც დაინიშნა და მათი კანდიდატურები აღმასკომს დაამტკიცებინა, თუმც ვის რა ფუნქცია ექნება, დღემდე არ გაურკვევია. მთავარია, რომ ვიცე-პრეზიდენტები დანიშნულნი არიან.

აღმასკომის შემდეგ პრესკონფერენციაზე კი ნოდარ ახალკაცმა ერთი ჩვეული მონოლოგი წარმოთქვა და ჟურნალისტთა კითხვებსაც უპასუხა...

— დღეს ფედერაციის აღმასკომმა დაამტკიცა პროფესიონალ მწვრთნელთა შტაბი, რომელიც ქართული ფეხბურთის განვითარებას ხელს შეუწყობს. მომავალი შესარჩევი ეტაპის ბოლომდე ეროვნული გუნდის მწვრთნელად დაინიშნა გაიოზ დარსაძე. მისი თანაშემწე იქნება ფრანგი ჟაკ დე ვიმი, ვისი ვიწრო სპეციალობაც ფიზმომზადებაა. გვსურს, რომ მან კოორდინაცია გაუწიოს ყველა ასაკობრივ ნაკრებს. მწვრთნელთა შტაბშია იტალიელი ფრანკო ფერარი, რომელიც ცნობილი იტალიელი მწვრთნელების მასწავლებელიცაა და კოვერჩიანოს ბაზაზე არსებულ მწვრთნელთა განათლების კურსების ერთ-ერთი ხელმძღვანელია. მისი მოწაფეები არიან კარლო ანჩელოტი, ალბერტო ძაკერონი, ალბერტო მალეზანი. მწვრთნელთა შტაბში იქნება ასევე გერმანელი ჰერბერტ ცანკერი. ის გერმანიის საფეხბურთო კავშირში მუშაობს, ტალანტების აღმოჩენითაა დაკავებული და ვიმედოვნებთ, ჩვენთანაც ეფექტურად იმუშავებს. ცანკერი საქართველოში იანვრიდან საცხოვრებლად ჩამოვა და ფერარისა და დე ვიმისგან განსხვავებით ხელფასს მიიღებს.

— აღმასკომის წევრებმა მწვრთნელების დანიშვნის თაობაზე ადრეც იცოდნენ — მათ მოსაფიქრებლად დრო ჰქონდათ და კანდიდატურებზეც ჩამოყალიბებულნი იყვნენ.

— ჩვენი მიზანი და ამოცანა მხოლოდ ერთია — გამარჯვება. ნაკრების პროგრესს სულ მალე დაინახავთ. ეს ხვალვე ყაზახეთთან მატჩისას გამოჩნდება.

— დღეს დავამტკიცეთ ვიცე-პრეზიდენტებიც. ესენი არიან: რევაზ არველაძე, გიორგი ქავთარაძე და დიმიტრი რამიშვილი. მათ ფუნქციებს კი უახლოეს მომავალში განვსაზღვრავთ.

— ფედერაციასა და სააქციო საზოგადოება „ფეროს“ თანამშრომლობა სიტუაციის გარკვევამდე შეჩერებულია. ისე კი, სპონსორებს ვეძებთ და მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ეს იყო მთავარი, რაც ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენციაზე თქვა, თორემ პრობლემებზე, იცოცხლეთ, პრეზიდენტს სალაპარაკო აქამდეც ბევრი ჰქონდა.

და მაინც, მთავარია, რომ მწვრთნელი დაინიშნა...

დაველოდოთ მომავალ შესარჩევ ციკლს, ვნახოთ, მერე რას იტყვიან ახალკაცი და დარსაძე. სათქმელი, ალბათ, მაშინაც ბევრი იქნება.

**კობა ინასარიძე**

# აბა ვნახოთ, ვინ ვინ არის

**გინდოდათ** უცხოელი მწვრთნელი? მიიღეთ, ერთის მაგივრად სამი! საქართველოს ფეხბურთის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გუშინწინ გამოაცხადა და დღეს უკვე აღმასკომმაც დაამტკიცა, რომ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ გაიოზ დარსაძეს სამი უცხოელი დაეხმარება, თანაც რა მიმზიდველი გეოგრაფიაა — ფრანგი, იტალიელი, გერმანელი.

მაშ, დავიწყოთ, ვინ ვინ არის...

ფრანგი **ჟაკ დე ვიმი** (გაიოზ დარსაძის თანაშემწე) — როგორც შევიტყვეთ, იგი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში ფიზმომზადების მეთოდისტად მუშაობდა. ადრე კი ამავე სპეციალობით „მონაკოში“, „მარსელსა“ და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებშიც უმუშავია. დე ვიმი შარშანდელ დეკემბერში საქართველოში გახლდათ და ჩვენიან მწვრთნელებს B კატეგორიის ფიზმომზადების სამწვრთნელო კურსებს უტარებდა. ამ კურსებს კი, მოგეხსენებათ, გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობდა.

მაშინ ბატონმა ჟაკმა ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაც გამართა, თუმც მჭერმეტყველებით არ გამორჩეულა. მისი ნაუბრიდან ყველაზე საგულისხმო წინადადება ეს იყო — „ყველა მწვრთნელი ნულიდან იწყებს ცოდნის მიღებას, არანაირი განსხვავება არაა, ფრანგ მწვრთნელს უკითხავ სემინარს თუ ქართველს“.

პრესკონფერენციას საქართველოს ნაკრების მაშინდელი თავკაცი ალენ ჟირესიც ესწრებოდა და თანამემამულე დე ვიმი შეაქო — ჟაკი ჩემი მასწავლებელია და მწვრთნელის დიპლომი რომ ავიღე, მისი დამსახურებააო.

ვნახოთ...

იტალიელი **ფრანკო ფერარი** (საქართველოს ეროვნული ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი) — იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა მომზადების კოვერჩიანოს საერთაშორისო სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ფრანკო ფერარი ორჯერ სტუმრობდა საქართველოს. მეორედ ისიც დეკემბერში გვეწვია და, დე ვიმის მსგავსად, სემინარები ჩაატარა. თანაც, მასმედიელებს ბევრ საინტერესო საკითხზე ესაუბრა. ტიპიური იტალიელია — ტემპერამენტიანი და ჟესტებით მოლაპარაკე.

სინიორ ფერარიმ თქვა, ჩემი მუდმივი სამუშაო არეალი იტალიაა, ასევე სხვადასხვა სამწვრთნელო კონფერენციებშიც ვმონაწილეობო. ახლა კი აპენინელი ფიზმომზადების მწვრთნელის საგულისხმო ფრაზებზე...

— პოზიტიური მომენტია, როცა მწვრთნელს უჩნდება ეჭვები ანუ თვითკრიტიკულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ძლიერ სპეციალისტად ჩამოყალიბდება...

— ადგილობრივი მწვრთნელები თუ ფეხბურთელები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ უცხოელის მიმართ და ყურადღებით უსმენენ არა იმიტომ, რომ უცხოელი ათჯერ უფრო მცოდნეა — არა, უბრალოდ, უცხოელია და განსხვავებული ხედვა აქვს.

— თანამედროვე ფეხბურთში ტექნიკა-ტაქტიკა-აზროვნება-ფიზმომზადების ერთად შერწყმაა საჭირო. ვერ ვიტყვი, რომ დღეს ძალისმიერი ფეხბურთი ბატონობს, განა ბრაზილია ასეთია?!

— ქართველი მწვრთნელებისთვის ღრმა ტაქტიკური და სპეციფიკური შეკითხვები არ დამისვამს. ისე, როცა მონდომებული ხარ და ტვინიც გიჭრის, შეუსწავლელი არაფერი დაგრჩება.

ფერარიც ვნახოთ...

გერმანელი **ჰერბერტ ცანკერი** (საქართველოს ნაკრებისთვის ტალანტების აღმოჩენის სპეციალისტი) — არა მარტო საქართველოსთვის, გერმანიისთვისაც კი უცნობი კაცია...

**ილია ნანობაშვილი**



ფრანგი ჟაკ დე ვიმი



იტალიელი ფრანკო ფერარი



გერმანელი ჰერბერტ ცანკერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 8 ოქტომბერი. 20 საათი. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ეროვნული

## საქართველო — ყაზახეთი

მსაჯები: იანი ჰიიტია; ესა ვეჰვალაინენი, იანე ლივაინენი; ტონი ასუმა (ყველა ფინეთი)

# რა დროს სიურპრიზებია...



ჟაკ დე ვიმი და გაიოზ დარსაძე





ზურაბ ხიზანიშვილი

**დღეს** საქართველო — ყაზახეთია: რა შეიძლება გაარკვიოს ამ მატჩმა? ქართველები უკვე სამომავლო შესარჩევი ციკლისთვის ემზადებიან და თან ჯგუფში მეხუთე ადგილზე გასვლას ლამობენ, ყაზახები კი ნანატრ ქულას ელიან.

ამ მატჩს გამორჩეული ფავორიტი ჰყავს და, საბედნიეროდ, ისინი ქართველები არიან, მაგრამ ყველა ასე როდი ფიქრობს. სამწუხაროა, ქომაგები ჯგუფის მაჩანჩალა ნაკრებთან მატჩის წინ პესიმისტურ პროგნოზებს რომ აკეთებენ. ეს ძალიან ცუდია, მაგრამ კიდევ უფრო ცუდი ისაა, რომ პესიმიზმს საფუძველიც აქვს...

გუშინ საღამოს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრებმა არასრული შემადგენლობით ივარჯიშა. ეროვნულში გამოძახებულმა ბექა გოცირიძემ გუშინ ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა, ხოლო მეკარე გიორგი ლომაიამ ოჯახური პრობლემების გამო ვერ მოიცალა.

ჟაკ დე ვიმი — გაიოზ დარსაძის დამხმარე სამკაციანი სამწვრთნელო შტაბიდან მხოლოდ ეს ფრანგი სპეციალისტი იყო „ეროვნულზე“. მან ფიზმომზადებაში ავარჯიშა ფეხბურთელები, მოკლე მანძილზე სწრაფი სირბილი ბრძანა და ბიჭებიც ახალისა. მოკლედ, დე ვიმი უკვე ნაკრებთანაა. იტალიელი სპეციალისტი ფრანკო ფერარი საბერძნეთში ჩააკითხავს დარსაძის გუნდს (ყოველ შემთხვევაში, ასე გვითხრეს), ხოლო გერმანელი ჰერბერტ ცანკერი იანვრიდან შეუდგება ქართველებთან მუშაობას.

ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ ქართველებმა ცოტა ხანი კომბინაციებს დაუთმეს, მერე კი ორკარაც გაიმართა ნახევარ მოედანზე. გაიოზ დარსაძემ თანაბარძალოვნად დაჰყო შემადგენლობები და აქედან ძნელი იყო გარკვევა, რომელ ძირითად თერთმეტეულს უმიზნებდა მწვრთნელი.

მეტი კი... სდექ! ზედმეტი არ მოგვივიდეს და შემადგენლობა არ ჩამოთვალოთ, დარსაძემ ხომ წინა დღეს გაგვიმხილა, მორტენ ოლსენმა საქართველოს ნაკრების ძირითადი 11 კაცი მატჩამდეც ზუსტად იცოდაო. ჰოდა, ემანდ სერგეი ტიმოფეევის ჯაშუშობა არ დაგვბრალდეს...

ნავარჯიშევს *ზურაბ ხიზანიშვილს* ვესაუბრეთ...

— ყაზახეთში მოიგეთ და როგორ შეატყვე მეტოქეს, არის ისეთი გუნდი, სიურპრიზი რომ მოამზადოს?

— სიურპრიზი როგორ დავარქვა, ყაზახებს ქულა არა აქვთ და ძლიერი გუნდიაო, ნაღდად ვერ იტყვი. შესაძლოა, ახალი ვერაფერი მოიგონონ, მაგრამ უშელავათოდ კი იბრძოლებენ. ამიტომაც მაგრად უნდა დავდგეთ, უნდა მოვიგოთ.

— „ბლექბერნზეც“ ვთქვათ: შენი გადასვლის შემდეგ გუნდმა აშკარად მოუმატა და „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ კი მოუგეთ. ჩანს, ახალ გარემოს მშვენივრად შეეწყვე...

— უეფას თასზე გასვლა გაგვიძნელდება, მაგრამ „ბლექბერნის“ პროგრესი თვალსაჩინოა. „ოლდ ტრაფორდზე“ სამი ქულა არ გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ მოვიგეთ და მთელი ინგლისი ავალაპარაკეთ. ერთი სიტყვით, „ბლექბერნს“ უპრობლემოდ მოვერგე.

— ზურა, დღეს გადაწყდა, რომ ნაკრებს მომავალ შესარჩევ ციკლშიც გაიოზ დარსაძე გაწვრთნის და მას სამი უცხოელი სპეციალისტი დაეხმარება. ამაზე რა კომენტარს გააკეთებ და, საერთოდ, ნაკრების ფეხბურთელები რას ფიქრობენ?

— ყველაფერს შედეგი გვაჩვენებს, ზეპირად და წინასწარ ლაპარაკი ძნელია.

— ფრანგმა ჟაკ დე ვიმმა უკვე გავარჯიშათ. პირველი შთაბეჭდილებით, როგორი სპეციალისტია?

— დე ვიმი დღეს ვნახე პირველად. ასე რომ, ჯერ მის კვალიფიკაციას ვერ შევაფასებ. უფრო კარგად გავიცნობთ და ვნახოთ, შედეგი გვაჩვენებს...

### წაგება ფიქრია ყაზახებისა

ქართველების შემდეგ „ეროვნულს“ ყაზახებიც მოადგნენ. მწვრთნელი სერგეი ტიმოფეევი შეგირდებთან ერთად დარბოდა და თამაშის ეშხშიც შევიდა.

„ეროვნულის“ მინდორი მაინცდამაინც არ ხასხასებს, მაგრამ სტუმრებს ერთი საყვედურიც არ დასცდენიათ, მოედნის პრობლემა ჩვენც არანაკლებ გვაწუხებსო.

არავითარი სიცილ-ხარხარი და ხალისი — მეტიც, ყაზახებს ისეთი ჩაფიქრებული და შეწუხებული სახეები ჰქონდათ, თითქოს უკვე წაგებას გლოვობდნენ...

**ილია ნანობაშვილი**
**გიორგი ვაშაკიძე**



სერგეი ტიმოფეევი



ყაზახებმა „ეროვნულზე“ ქართველების მერე ივარჯიშეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# geo_geo_fan

# აზრზე მოდით!

## ერთადერთი რჩევა, რომელიც გულშემატკივრებმა ფეხბურთის ფედერაციის მიმართ „გაიმეტეს“

**გილოცავთ! გუშინ შუადღისას საქართველოს ნაკრებს მთავარ მწვრთნელად გაიოზ დარსაძე ორი წლით დაუმტკიცეს. თუმცა გვაქვს თუ არა საქმე მოსალოცად, ვინძლო; მალე გამოჩნდეს... ხოლო დღევანდელი მატჩი ყაზახეთთან... გვაპატიონ ქართული ფეხბურთის მამებმა, მაგრამ ეს თამაში, შეიძლება ითქვას, არავის ახსოვს — უკვე დღეს გულშემატკივარი იმაზე წუხს, რომ საქართველო ვერც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე მოხვდება. არადა, ასეთი რამ აქამდე არასდროს მომხდარა! გულშემატკივარი აქამდე ყოველთვის იმედით ელოდა ახალ შესარჩევ ციკლს, ახლა კი პირველად ხდება, რომ ხალხი ჯერ კიდევ წილისყრამდე უიმედოდაა. გულშემატკივარი ფიქრობს, რომ საქართველოს ნაკრებს მომდევნო ორ წელიწადში წარმატების მიღწევის შანსი არ აქვს! სავალალოა...**

**DIMA23**: *გამარჯობა „სარბიელს“. პირველად გწერთ და იმედია, დაბეჭდავთ. გაიოზზე და ნოდარზე იმდენი ითქვა, მეტი რაღა დავამატო?! ერთს ვიტყვი, ამ ყაზახეთს რამენაირად მოვუგებთ, მერე საბერძნეთია. რამდენჯერ ყოფილა, ბოლო უმნიშვნელო თამაშს ნაკრები ნორმალურად ატარებს. მაგალითად, რუმინეთთან. მერე ატეხენ ერთ ამბავს, გუნდმა თამაში იპოვაო და, თუ მოხდა და, საბერძნეთს ქულა წავართვით... ეგ არ უნდა დავუშვათ არც ბალელშიკებმა და არც მასმედიამ, რომ გაიოზი, თავისი „დაცვას მიხედეთი“, ნაკრებში დატოვონ, თორემ მერე მართლა მოკვდება ეს ქართული ფეხბურთი. დიდი მადლობა წინასწარ. კიდევ ბევრია სათქმელი, მაგრამ ათი გაზეთი არ მეყოფა.*

დიმა ბატონო, დაბეჭდვით როგორ არ დავბეჭდავთ — ნებისმიერი წერილი, რომელიც უცენზურო გამოთქმებს არ შეიცავს, ამ რუბრიკაში შეულამაზებლად იბეჭდება. მაქსიმუმ, წერტილ-მძიმე ჩავაგდოთ საჭირო ადგილებში. რაც შეეხება რიტორიკულ კითხვას, რამდენჯერ ყოფილა ბოლო უმნიშვნელო თამაშის მერე ერთ ამბავს ტეხენო, გიპასუხებთ: რამდენჯერ ყოფილა და, ვაი რომ, ყოველი შესარჩევი ციკლის ბოლოს.

**KAKHAILIA**: *უკაცრავად და, ყაზახეთს რომ მოუგოთ ჯგუფიდან გავდივართ? არა? აბა, მივცეთ ყაზახებს.*

განმარტება: პატივცემული ავტორი, რა თქმა უნდა, ქულების მიცემას გულისხმობს.

**LADOSHVELA**: *მეორედ მიხდება თქვენ იმეილზე წერილის გამოგზავნა და, სამწუხაროდ, პირველის მსგავსად, ესეც კრიტიკული იქნება. არ მინდა, ამ წერილს დამძიმებული ხასიათი მივცე, მაგრამ ვაგლახ, რომ ამ შემთხვევაში წერილის პათოსი ფაქტის სიმძიმისგან გამომდინარეობს. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მრავლად გამოინახება ისეთი პერიოდები, როდესაც ჩვენი ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალებულა ხოლმე. ამ შემთხვევაში კი, მართალია, ქვეყნის არა და, ჩვენი ქართული ფეხბურთის (ყოველ შემთხვევაში, სანაკრებოს) ბედის ჩარხი უკუღმა იწყებს ტრიალს და უკვე მერამდენედ, ყოველი შესარჩევი ეტაპის წინ ჩვენში, გულშემატკივრებში გაღვიძებული იმედი ძალიან ადრე, ეტაპის დაწყებამდე იწყებს კვდომას.*

*ბატონო გაიოზ, გთხოვთ, თუ თქვენ ქართული ფეხბურთის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა გსურთ, თუ თქვენ მართლა გიყვართ ქართული ფეხბურთი და საქართველო, მოხსენით თქვენი კანდიდატურა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან, ჩაამთავრეთ ეს შესარჩევი ეტაპი და დაბრუნდით იქ, სადაც აგრერიგ მომხიბვლელად და ნაყოფიერად გამოიყურებოდით — მწვრთნელთა ინსტრუქტორად. თქვენ იქიდან უფრო მეტს გაუკეთებთ ქართულ ფეხბურთს. მერწმუნეთ, რომ ეს ასეა და სხვაგვარად თქვენ კიდევ ერთი დავიწყებული, ქართული ფეხბურთის ისტორიის სანაგვეზე მოსროლილი კიდევ ერთი მოხელე გახდებით.*

*ბატონო ნოდარ, გთხოვთ, შეასრულეთ თქვენი პირობა ქართული ფეხბურთის აღორძინებისთვის ყველაფრის გასაკეთებლად, ვინაიდან აქამდე ჩვენი ფეხბურთი ისევ იმ ძველ, ჟორდანიასეულ ჭაობშია ჩაფლული და ჩვენდა ჭირად, უფრო და უფრო მეტად ეფლობა.*

ამ წერილის პასუხი შესავალში მოგახსენეთ — გუშინ ნაშუადღევს გაიოზ დარსაძე მომდევნო ორი წლით ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაამტკიცეს.

გულწრფელად გითხრათ, დარწმუნებული ვართ, რომ ბატონ გაიოზს ქართული ფეხბურთიც უყვარს და მით უმეტეს, სამშობლო. იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ მას ალალად სჯერა, რომ მის ხელში საქართველოს ნაკრები წარმატებას მიაღწევს. ამისი, ცხადია, ნოდარ ახალკაცსაც სჯერა. უბედურება კი ის არის, რომ ამის არ სჯერა გულშემატკივარს. ვისი მხარე დავიჭიროთ, უიმედო გულშემატკივრის თუ იმედიანი მწვრთნელ-პრეზიდენტის? გული უიმედო გულშემატკივრის მხარდაჭერას გვეუბნება, რაკი პრეზიდენტმა საკუთარი არჩევანის სასარგებლოდ საიმედო არგუმენტები ვერ წარმოგვიდგინა.

**KAKICH**: *გაუმარჯოს „სარბიელს“! დიდხანს ველოდი ამ რუბრიკის აღდგენას და, როდესაც გადავწყვიტე დამეწერა წერილი, გადავიკითხე 6 ოქტომბრის ნომერი და აღმოჩნდა, რომ უმეტესობას ერთი და იგივე აზრი აქვს და ყველანი ერთად ისეთი ერთსულოვნები ვართ ფედერაციის მიმართ, როგორც არასდროს.*

*უბრალოდ, ჩემ აზრს მოგახსენებთ მიმდინარე საკითხებზე. მგონი, უინტერესო არ იქნება ჩვეულებრივი გულშემატკივრის შეფასება.*

*პირველი, რაზეც გავამახვილებ ყურადღებას ის არის, რომ ახალკაცი-JUNIOR აზრზე არ არის რა ხდება, რა მდგომარეობაა ქართულ ფეხბურთში. მარტო ჩოლარიას და ჟორდანიას მოშორებით ჩვენ შორს ვერ წავალთ, ეს ყველამ იცის! ქართული ფეხბურთის მართვა არ არის იოლი და ახალკაცმა იცოდა, სადაც მიდიოდა!*

*მეორე საკითხი ის არის, რომ საცოდაობაა ჩვენი ჩემპიონატის მიმოხილვების ნახვა პირველ სტერეოზე. ეს რა უბედურ დღეში ვყოფილვართ, რა დღეშია ქვეყნის სტადიონები!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!*

*სოხუმის „დინამო“ და ცხინვალის „ცხინვალი“ მარტო ქაღალდზე არსებობენ, თორემ ეს გუნდები ჩვეულებრივი აუტსაიდერები არიან, რომლებსაც არაფერი ესაქმებათ უმაღლეს ლიგაში და მხოლოდ იმის გამო მოხვდნენ იქ, რომ ნოდარს ხმები დაეგროვებინა! მე პირადად არ მაქვს საწინააღმდეგო ამ გუნდების მიმართ, უბრალოდ, საცოდაობაა დაკარგული ტერიტორიების გუნდების ნახვა აუტსაიდერის ამპლუაში. ისედაც კარგად ვიცით ყველამ, რომ სოხუმის „დინამო“ სოხუმში თამაშებს კიდევ კაი ხანი ვერ ჩაატარებს, თუ საერთოდ როდესმე ჩაატარებს!!!*

*ახლა მივადექით საყვარელ თემას — ნაკრები.*

*დასკვნა გამოვიტანე, რომ ნაკრებში თუ გინდა მოხვედრა, უნდა დაიწყო თამაში რუსეთის პირველ დივიზიონში, ისიც მყარ სათადარიგოებში. ამ შემთხვევაში გარანტირებული გაქვს ადგილი ნაკრების ძირითადში!*

*ჟირესს მჟავანაძის გამო ვაკრიტიკებდით და თურმე დარსაძეც იმაზე ოცნებობდა, თუ როდის ათამაშებდა კახას „თავის“ ნაკრებში!*

*ნაკრებში მოხვედრის ბევრი გზა არსებობს და ერთ-ერთი არის ზესტაფონის „ზესტაფონი“. თუ ამ გუნდის შემადგენლობაში ერთი-ორი თამაში გითამაშია ჩვენს ჩემპიონატში, ჩათვალე, რომ უკვე ნაკრების კანდიდატი ხარ, ან კიდევ უკეთესი, ბოლო ნახევარი საათი შეგიძლია, ითამაშო ნაკრების ძირითადში, როცა ანგარიში 1:6 იქნება სხვების სასარგებლოდ.*

*კიდევ იდეა მაქვს, რომ განუგრავა საერთოდ გუნდის კაპიტნად ვაქციოთ, რომ ნელ-ნელა შეეჩვიოს ამ წოდებას და როცა დარსაძე გვათამაშებს ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე, უკვე ნაღდი მებრძოლი კაპიტანი გვეყოლება, რომელიც მთელ გუნდს თავის მხრებზე აიკიდებს და ჩემპიონად აქცევს! (ხუმრობით, რა თქმა უნდა, ბატონო გაიოზ).*

*ნაკრების კარი ალბათ სამუდამოდ დაიკეტა ქინქლაძისთვის, რეხვიაშვილისთვის, შ. არველაძისთვის და კიდევ ბევრი სხვისთვის. არადა, არ არის ეს ხალხი პენსიაზე გასაშვები. გადახედეთ და ნახეთ, რომ მთელ მსოფლიოში გუნდების ძირითადებში 30 წელს გადაცილებული ძალიან ბევრი ფეხბურთელი თამაშობს.*

*არ მინდა, ასე პესიმისტურად დავამთავრო ეს წერილი. ბიჭებს მინდა ვუთხრა, რომ ბოლომდე დაიხარჯონ მოედანზე. ჩვენ ვიცით, რომ ისინი არც გაიოზის და არც JUNIORA-ს გამო არ თამაშობენ. ისინი საქართველოს გამო თამაშობენ და ჩვენი გახარება უნდათ, უბრალოდ, არ გამოსდით!*

*თამაშების შემდეგ შევხვედებით ძვირფასო ბუარ!!!!!!!!!!!!*

რა ვთქვათ? პირველი სტერეოს გახსენებაზე: მიხეილ ჯორბენაძესთან მესიჯებს რომ აგზავნიან, ამა და ამ ფეხბურთელს რატომ არ იძახებენ ნაკრებშიო, ერთი-ორჯერ ისეთი გვარი დაასახელეს, საერთოდ რომ არ გაგვიგია. ანუ რისი თქმა გვსურს: ნაკრები რეზინის არ არის, რომ გაწელო და შიგ ყველა ჩაატიო. ბუნებრივია, ყოველთვის იქნებიან ფეხბურთელები, რომლებზეც ვიღაც იტყვის, რატომ არ გამოიძახა მწვრთნელმაო. მწვრთნელი ამას შეგუებული უნდა იყოს, მაგრამ ვისაც გამოიძახებს, იმათზე კი უნდა იყოს პასუხისმგებელი და დამაჯერებლად უნდა შეეძლოს ახსნა, თუ რატომ გამოიძახა ესა თუ ის ფეხბურთელი.

**ZANGO89**: *გაუმარჯოს „სარბიელს“!!! მინდა, დაგისაბუთოთ ჩემი გუშინდელი წერილი. დანიის ნაკრები ბევრჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენი, მგონი, ამაში საკამათო არაფერია!!! მათი მწვრთნელი ჩვენი მწვრთნელისთანა ხეპრე არ არის!!! მოთამაშეები მაღალი კლასისანი და პროფესიონალები არიან!!! მართალია, ჩვენც გვყავს რამდენიმე, მაგრამ რამდენიმე და არა ყველა!!! მთავარი კი ის არის, რომ დანიას უსიკვდილოდ უნდა მოეგო, რათა გასვლისთვის შანსი შეენარჩუნებინა. ჩვენებს კი სულ ცალ ფეხზე ეკიდათ!!! მაგათ ხომ სირცხვილის გრძნობა არა აქვთ!!! ჩვენს ნაკრებში თამაშობენ „ზესტაფონის“ ის ფეხბურთელები, რომლებსაც რაიმე ღირსშესანიშნავი არ გაუკეთებიათ საქართველოს ჩემპიონატში. რა უნდა ლონლაძეს ნაკრებში?! თუ ახალგაზრდებზე აკეთებენ აქცენტს, რატომ არ გამოიძახეს დვალი, მიკუჩაძე, ს. იაშვილი, დოლიძე და სხვანი?! ჩემი აზრით, ზესტაფონე-*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# @hotmail.com



ბადრი კილასონიას ფოტო

გულშემატკივრები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ქმედებით აღშფოთებულები არიან

*ლებს იმიტომიძახებენ, რომ ან მათი სარფიანად გაყიდვა უნდათ, ანდა იმის ილუზია აქვთ, რომ „ზესტაფონი“ უძლიერესია ჩვენს ინვალიდ ჩემპიონატში! ანდა, გოგუას და კანკავას რა უნდათ ამ მომენტში ნაკრებში?! მე ეჭვი არ მეპარება მათ შესაძლებლობებში, მაგრამ პოლოს როდის ითამაშეს გუნდებში, თვითონაც არ ახსოვთ!*

*ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ისეთ უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებს, რომელსაც ნნორის „მილანის“ პრეზიდენტიც კი არ გააკეთებდა! (ამ გუნდის საწინააღმდეგო არაფერი არ მაქვს). ვგულისხმობ, ნოდარჩიკას ბრძნულ აზრს, „გუნდის დაკომპლექტებას და შემადგენლობის დაყენებას მწვრთნელი არ სჭირდება!“ — ამით ყველაფერია ნათქვამი!!!*

*დარსაძე და ახალკაცი ერთი კარგი მწერლის გიორგი ლეონიძის ნაწარმოების „ნატვრის ხის“ ერთ უბრალო პერსონაჟს „შემოულაწუნეს“ მაგონებს!*

*P.S. „სარბიელი“ საკუთარ ვებგვერდს რატომ არ ხსნის?*

თუ გახსოვთ, ზანგოს გუშინ ვთხოვეთ, შენი მოსაზრება, დანიის ნაკრებთან ჩვენებს დარსაძე კი არა, ერეკლე მეფე ვერ მოაგებინებდაო, დაგვისაბუთე-თქო. ჰოდა, დღევანდელი წერილისთვის მადლობას ვუხდით. თუმცა მის რამდენიმე მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით — ჩვენებს ფეხებზე ეკიდათ, მოიგებდნენ თუ წააგებდნენო. ვერ დავეთანხმებით იმიტომ, რომ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება, შეჯიბრში იღებდე მონაწილეობას და მოგებას და წაგებას შენთვის ერთი ფასი ჰქონდეს. ხოლო თუ ვინმე მართლა თვლის, რომ შეუძლია მოედანზე გავიდეს და ბოლომდე არ დაიხარჯოს, ასეთი ფეხბურთელი, რბილად რომ ვთქვათ, პატივისცემას არ იმსახურებს.

„სარბიელის“ ვებგვერდი კი, ჩვენც იმედი გვაქვს, მალე გაიხსნება, თუმცა სარბიელური სტატიების წაკითხვა ინტერნეტში დღესაც შეგიძლიათ.

**MAMUKA**: *გაუმარჯოს „სარბიელს“! ჟორდანია-ჩოლარიას ნასვლის მერე იმედმოცემულ ხალხს ისევ უიმედობა და პესიმიზმი დაგვეუფლა. ძალიან მინდოდა თქვენი თხოვნის შესრულება და თბილი სიტყვების თქმა ჩვენი ფეხბურთის მესაჭეებზე, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. კაცი, რომელიც იტყვის, რომ ერთი კაცის მოსაყვანი ფული არ აქვს და ერთბაშად ოთხი მოჰყავს, თანაც რბილად რომ ვთქვათ საეჭვო კომპეტენციის; კაცი რომლისთვისაც 25 წლის ფეხბურთელი ბებერია, ხოლო 17 წლის გამოცდილი და ვარსკვლავი; კაცი რომელიც ემალება ჟურნალისტებსა და ხალხს, მალავს ნაკრებს...*

*ისმის კითხვა: ვისია ნაკრები, ხალხის, საქართველოსი თუ დარსაძე-ახალკაცის?*

*და ერთიც: არც ერთ გენიოსს გენიოსი შვილი არ ჰყოლია! ხალხი კი დაიღალა, ამდენი უვიცის მოსმენით და გთხოვთ, თქვენ, ჟურნალისტები ნუ მოერიდებით უფრო მწვავე კრიტიკას ქართული ფეხბურთის გადასარჩენად.*

*მუდამ თქვენი ერთგული მკითხველი მამუკა.*

კრიტიკას რომ არ ვერიდებით, ეს რუბრიკაც ამის დასტურია. მწვრთნელისთვის გადასახდელ ფულთან დაკავშირებით კი ერთი კითხვა არ გვასვენებს: ჟირესისთვის მისაცემი ფული არ გვქონდაო და, კი მაგრამ, კონტრაქტის გაწყვეტისთვის კომპენსაცია ხომ მაინც აქვს გადასახდელი ფედერაციას ფრანგისთვის?

**DATOBATUMELI:** *ძალიან მაგარ გაზეთს და მის მკითხველს გაუმარჯოს! ერთი თხოვნა მაქვს: სულ ასე ობიექტურები იყავით და არ მოასვენოთ ქართული ფეხბურთის მტერი.*

*ხომ გვინდოდა უცხოელი? აგერაა, სამი ერთად. მაგრები ვართ რა... ისე, თუ არ ვცდები, მთავარი მწვრთნელი ასისტენტზე გამოცდილი და ძლიერი უნდა იყოს — ესე იგი, ესენი დარსაძეზე დაბალი დონის არიან. არა, რა მაგრები ვართ არა?*

*საბოლოოდ კი ამას ვიტყვი: ნეტავ, ვცდებოდე და, ვისურვებდი, რომ ღმერთმა, როგორც საქართველოსთვის უკეთესი იქნება, ისე გადაწყვიტოს. მე ყოველთვის მოუთმენლად ველი ნაკრების თამაშებს და ყოველთვის ვიქნები მისი გულშემატკივარი. ნოდარ ახალკაცს ვთხოვ, შეცდომებით არ გაუტეხოს გული ათიათასობით ჩემნაირს.*

*P.S. ისე, დღევანდელ „სარბიელში“ ჟაკ დე ვიმს ჭკვიანი თვალები აქვს.*

ჭკვიანი თვალებისა რა გითხრათ, ახალკაცისადმი ბათუმელი დათოს თხოვნას კი ვუერთდებით.

**MAKHARADZE15:** *გადარეული ვარ, დღეს წავიკითხე გაზეთში. დარსაძე?*

*არა, ცხოვრებაში ვიღაცამ შეიძლება რაღაცა შეგთავაზოს, მაგრამ... შენ არ უნდა შეგრცხვეს კაცო? საიდან აქვს მწვრთნელობის პრეტენზია?!*

*P.S. მეტს ველოდი ახალკაცისგან. მაგ არაკორუმპირებულ უცოდინარს ბევრი, თუნდაც კორუმპირებული მცოდნე აჯობებს.*

პოსტსკრიპტუმში დასმულ საჭირბოროტო კითხვას ძალიან მარტივი პასუხიც აქვს: არაკორუმპირებული და მცოდნე სჯობს. ისე კი, ყოველგვარი ირონიის გარეშე ვიტყვით: ამ სამ დღეში პირველად ვკითხულობთ ახალკაცისადმი კომპლიმენტს — არაკორუმპირებულიაო. საპირისპიროს საბუთი არც ჩვენ გვაქვს.

**KAXABERO**: *იცით, რა შთაბეჭდილება მრჩება? ქართველ ხალხს რამდენადაც გვიყვარს ფეხბურთი, იმდენად არაპროფესიონალები ვართ მისი მართვის საკითხებში. ამას რომ ვამბობ, უპირველესად ქვას ფეხბურთის ფედერაციის ბოსტანში ვისვრი. ჩვენ რამდენიც უნდა ვიმსჯელოთ და ვეძიოთ კრიზისიდან გამოსვლის გზები, ყველაფერი მაინც ჩალით არის დაფარული. შეუძლია ბატონ ნოდარ ახალკაცს აგვიხსნას, რა დამსახურებისთვის გაუგრძელა კონტრაქტი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე გაიოზ დარსაძეს? ნუთუ, მართლა სჯერა მას, რომ დარსაძის ხელმძღვანელობით ნაკრები რაიმე ხელშესახებ წარმატებას მიაღწევს? რა ხდება, ეს ხომ გულშემატკივრის აბუჩად აგდებას ნიშნავს.*

*ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ამათზეა ზედგამოჭრილი. ფული არ გვაქვსო, ახალკაცი მოსვლის დღიდან გაიძახის და სამი უცხოელი სპეციალისტი კი დაუნიშნა დარსაძეს თანაშემწეებად. როგორ ფიქრობთ, ეს ღრმად პატივსაცემი იტალიელი, ფრანგი და გერმანელი პიროვნებები მხოლოდ ლამაზი თვალების გულისთვის ჩამოდიან საქართველოში?! განა არ ჯობდა იმ თანხად, რაც მათ უნდა გადაუხადონ, ერთი მართლაცდა კვალიფიციური მწვრთნელი ჩამოგვეყვანა?! რა თქმა უნდა, ჯობდა, მაგრამ ახალკაცმა კიდევ ერთი უპატიებელი შეცდომა დაუშვა, რომელსაც მომავალ შესარჩევ ციკლში აუცილებლად საკუთარ თავზე ინვნევს. ნამდვილმა გულშემატკივრებმა რა დავაშავეთ, თორემ დარსაძე მუდამ ამბიციური პიროვნება იქნება და ახალკაციც მისი ერთგული მფარველი. პესიმისტი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველსაც ნელ-ნელა მიქრობენ. ეს უკვე მეტისმეტია.*

*არავის ეგონოს, ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან ვლაპარაკობდე და არც ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელობაზე ნაკლებად გამიხარდება ქართული ფეხბურთის წარმატება, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი გადასახედიდან ეს უტოპიად მეჩვენება. ყაზახეთთან უფერული გამარჯვება, უკრაინასთან ძლივს მიღწეული ფრე და დანიასთან სამარცხვინო ფიასკო — ეს არის დარსაძის მონაგარი და ყოველივე ამის შემდეგ ფედერაცია მისი მუშაობით კმაყოფილია. ისლა დაგვრჩენია, ·2007 წელს დაველოდოთ, მეგობრებო...*

ყველანი ერთად დაველოდოთ, მეგობრებო, ლოდინი ის არის, რის უფლებასაც გულშემატკივრებს სიამოვნებით გვიტოვებენ.

**WEB-ოსტატი ბუარა**

## ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

# სამწერტილები წერტილოვან სიყალბეებზე


ვადიმ ბოროვსკიმ (№13) თავის გუნდს ისტორიული გამარჯვება მოუტანა

ბოლნისი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 200 (ტევადობა 3 500)

### საქართველო 0:1 ყაზახეთი

0:1 ბოროვსკი (49)

| საქართველოU21 | ყაზახეთიU21 |
| --- | --- |
| თევდორაძე, გვაძაბია, ხიდეშელი (ა. კალაძე 46), ელბაქიძე, დ. მჭედლიშვილი, კ. მახარაძე, გოგი ფიფია (ბ. ძლენტი 60), გ. ნუგ. ჭელიძე, ხოჯავა (გეწაძე 46), ს. იაშვილი, გოცირიძე | გრიგორენკო, კურგულანი, მუხტაროვი, პ. ალიევი, ზუევი, აიროვი, იევსტიგნიევი, ორაზალიევი, ბოროვსკი, არგიმბაევი (სოლომინი 84), შაკინი (ტარასოვი 90) |
| *სათადარიგონი:* თოთლაძე; ჩირიკაშვილი, ხორგუაშვილი, ბჟალავა | *სათადარიგონი:* დეხანოვი; ვოროტნიკოვი, კ. ალიევი, ჩერკაშინი |
| მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი | მწვრთნელი: ანტონ შოხი |

გაფრთხილება: იევსტიგნიევი (11), მახარაძე (28), ზუევი (32), ბოროვსკი (35), გეწაძე (56, 70)

გაძევება: გეწაძე (70)

მსაჯი: ი. ალიევი (აზერბაიჯანი)

**დავით თავართქილაძე ბოლნისიდან**

„ჩვენთვის ეს მართლაც ისტორიული გამარჯვებაა. პირველად ვთამაშობთ შესარჩევ ციკლს უეფას ზონაში და პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ სტუმრად" — თქვა ნამატჩევს ყაზახი ახალგაზრდების დამრიგებელმა ანტონ შოხმა...

და რა იყო ეს მარცხი ჩვენთვის? აქ უკვე ნამდვილად არ ღირს ზოგადად ქართული ფეხბურთის პრობლემატიკის მიმოხილვა, რადგან ვერ ვიტყვით, რომ ყაზახეთში საფეხბურთო მეურნეობა ჰყავის, ხოლო ჩვენთან — პირიქით. მარცხის შემდეგ ასეთი არგუმენტის მოყვანა ძალიან ხელსაყრელი იყო-ხოლმე ქართული გუნდების მწვრთნელებისთვის, მაგრამ ყაზახეთთან ეს უბრალოდ აღარ გამოვა და კობა ჟორჟიკაშვილმა ახლებური განმარტება შემოგვთავაზა — აჰა, ვითამაშე 1984-85 წლებში დაბადებული ფეხბურთელები და წავაგეთ — ასეთი იყო ჟორჟიკაშვილის ლაიტმოტივი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

თუ გუშინდელი სასტარტო შემადგენლობით ვიმსჯელებთ, მხოლოდ სამი ფეხბურთელი იყო ისეთი, რომლებიც მანამდე წინა სამ თამაშში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების კიდევ უფრო გახაალგაზრდავების სქემაში ვერ ჯდებოდნენ — სანდრო იაშვილი, გოჩა ხოჯავა და გიორგი ჭელიძე.

ჟორჟიკაშვილმა ისიც თქვა, ჩვენი გუნდის 1987-88 წლებში დაბადებული ფეხბურთელები უფრო მეტი პროფესიონალები არიან, ვიდრე მათზე უფროსებიო...

ჟორჟიკაშვილთან კამათს ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ გუნდის მოთამაშეების მისეულმა დაყოფამ და კონცეფციამ, ვეჭვობთ, რომ დიდი შედეგი მოგვიტანოს. იმასაც ვეჭვობთ, რომ, რაც ახალგაზრდულ ნაკრებში ხდება, მხოლოდ ჟორჟიკაშვილის კონცეფცია არაა...

წერილში სამ წერტილს უკვე ხშირად ვხმარობთ. ქართული საფეხბურთო საზოგადოება უკვე ძალიან დიდ სიყალბეებზე შედგა, მას ვერავითარი ანალიტიკა, სარკაზმი, მეტაფორა თუ შორისდებული ვეღარ უმკლავდება, ვერც სამი წერტილი დააკლებს რამეს, მაგრამ იქნებ უფრო მეტი დაფიქრება და კიდევ უფრო მეტი სამი წერტილი გამოიწვიოს.

ერთი სიტყვით, აბდაუბდა რამეა ეს ჩვენი დღევანდელი ყოფა — ვითომ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ საქმე უკან-უკან მიდის. აბდაუბდა იყო გუშინდელი პირველი ტაიმიც, რის შემდეგაც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების საქმეც უკან-უკან წავიდა.

პირველ ტაიმში ჩვენი და ყაზახეთის ოცდაერთწლამდელებიც რაღაცას ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ, ერთი საგოლე მომენტიც კი არ ყოფილა.

45-წუთიანი ურვის შემდეგ შუააზიელებმა აბდაუბდას თავი დააღწიეს, ეტყობოდათ, რომ კარგი დარიგება მიეღოთ მწვრთნელისგან, ჩვენს ახალგაზრდებს კი...

გოლი ასე გავიდა: ყაზახებმა მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს, საიდანაც მუხტარ მუხტაროვმა რევაზ თევდორაძის კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, ვადიმ ბოროვსკიმ კი ის ჯერ გაისწორა და მერე ახლოდან გაახვია ბადეში.

გოლიდან რამდენიმე წუთში ყაზახებმა მეორეც კინალამ შეაგდეს — აიდარ არგიმბაევს თევდორაძემ აუღო ძნელი ბურთი.

გამოჩნდა, რომ ყაზახები უფრო გამართულად თამაშობდნენ, მეტი სიხისტე და აგრესიაც აღმოაჩნდათ, ორთაბრძოლებშიც ერჩოდათ ღონე და კარგადაც გაშლიდნენ-ხოლმე კონტრშეტევას. ჩვენს ახალგაზრდებს კი არანაირი კოზირი არ აღმოაჩნდათ და ისიც გამოჩნდა, რომ გუნდის უნიათობა მხოლოდ მწვრთნელის ბრალი არ იყო.

მაღალი ბურთების გაგზავნა სანდრო იაშვილისკენ — არც ამან გასჭრა და არც არაფერმა — საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შინ ყაზახეთთან ერთი საგოლე მომენტიც ვერ შექმნა — ამას მხოლოდ მწვრთნელს ნაღდად ვერ დავაბრალებთ...

თევდორაძემ კი ერთხელაც იყოჩაღა, როცა ბოროვსკის მიერ საშუალო დისტანციიდან გასროლილი ბურთი კუთხურზე მოიგერია.

*ანტონ შოხი:* ქართველების ასეთ უფერულ თამაშს არ ველოდი, მათ ყაზახეთში უკეთესად ითამაშეს...

*კობა ჟორჟიკაშვილი:* გიორგი ხიდეშელი ჩვენი დაცვის ბურჯია, მაგრამ ის იმიტომ შევცვალეთ, რომ ეროვნულ ნაკრებშიცაა გამოძახებული და ორ ტაიმს ვერ ვათამაშებდით. მისმა შეცვლამ კი, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ჩვენს თამაშზე. ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებული მისი თანატოლებიც: გიორგი განუგრავა და რატი წინამძღვრიშვილი და მათი არყოფნა ძალიან დაგვეტყო...


გოჩა ხოჯავას (№10) ახალგაზრდულ ნაკრებში დაბრუნება უიღბლო გამოუვიდა


ყაზახებმა ქართველები გადათელეს

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვან ნისტელროიმ დაარტყა



რუუდ ვან ნისტელროოი (მარჯვნივ) ვარჯიშზე თანაგუნდელს ეჩხუბა

**I ჯგუფი**

**ჩეხეთი — ჰოლანდია**

სავარაუდო შემადგენლობა

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, როზენდალი, უეფალუში, მარეში, პობორსკი, გალაშეკი, როსიცკი, პოლაკი, შტაინერი, ბაროში.

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, კრომკამპი ან დე იონგი, ბულარუზი, ოპდამი, ვან ბრონკჰორსტი, ლანძაატი, მადურო, ვან დერ ვაარტი, რობენი, კუიტი, ვან ნისტელროოი

**ფინეთი — რუმინეთი**

**მარკო ვან ბასტენის** ხელში ჰოლანდიამ, 14-მატჩიანი წაუგებელი სერია მიითვალა. ჩეხებთანაც თუ არ დამარცხებიან, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს დღესვე გაინაღდებენ. მწვრთნელს რუუდ ვან ნისტელროომ წაუხდინა ცოტა ხასიათი, რადგან ვარჯიშზე თანაგუნდელ რონ ვლაარს ეჩხუბა.

ვან ბასტენმა ვან ნისტელროოი დატუქსა, მანჩესტერელმა კი მოიბოდიშა: „ფეხბურთელებს ვესაუბრე და ყველას ბოდიში მოვუხადე. ზოგჯერ თავს ველარ ვაკონტროლებ, რადგან ვარჯიშისას ძალიან ვიმუხტები“.

რობინ ვან პერსი და უესლი სნეიდერი ტრავმირებულნი არიან, ხოლო ფილიპ კოკუ დისკვალიფიცირებულია. იან კრომკამპის თამაში საეჭვოა და თუ ვერ გამოკეთდა, მას ნაიჯელ დე იონგი შეცვლის.

„ნარინჯისფერთა“ თავკაცმა მივიწყებულ ედგარ დავიდსს და ჯორჯ ბოატენგს უხმო. დავიდსი შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ არ გამოჩენილა ნაკრებში, ბოატენგი კი უკვე სამი წელია, არავის გახსენებია.

„ჩეხებმა თითქმის სათადარიგო შემადგენლობით ევრო 2004-ზე გერმანიას მოუგეს, ეს კი ნიშნავს, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელები არასოდეს აკლდათ. თუმც იან კოლერისა და ვლატისლავ ლოკვენცის გარეშე მათ ცოტა გაუჭირდებათ, რადგან ტაქტიკა ამ ფორვარდებზე აქვთ მორგებული“ — განაცხადა მარკო ვან ბასტენმა.

ედვინ ვან დერ სარი, რომელსაც ფრანკ დე ბურის რეკორდამდე (112) ცხრა მატჩი უკლია, მწვრთნელს აქებს: „ვან ბასტენმა იცის, რომელი ფეხბურთელი სჭირდება და როგორ ათამაშოს. ხშირად ვარჩევთ ერთად მატჩებს და ბიჭებს ეკითხება ხოლმე ამ შემთხვევაში ასე რატომ მოიქეციო“.

ვან დერ სარისთვის შვებაა, რომ დღეს იან კოლერს ვერ შეხვდება. ზორბა ჩეხმა შესარჩევ მატჩებში 9 გოლი გაიტანა, რაც ნაკრების გოლთა (32) თითქმის მესამედია. კარელ ბრიუკნერი კი მილან ბაროშის იმედზეა, რომლის თამაშიც საეჭვო იყო, მაგრამ გუშინ ექიმმა იჯადოქრა და „ასტონ ვილას“ ფორვარდი მოაფერიანა.

ლოკვენცისა და კოლერის გარდა მასპინძლებს „ბორდოს“ ნახევარმცველი ვლადიმირ შმიცერიც დააკლდება, ხოლო მსუბუქად ტრავმირებული ტომაშ გალაშეკი ალბათ ითამაშებს.

ბრიუკნერს თურმე პაველ ნედვედის დაბრუნებაც უცდია. „იუვეს“ ნახევარმცველი თითქოს ყაბულსაც იყო, მაგრამ მედიამ მწვრთნელის ნათქვამი გააუკუღმართა. ვითომ ბრიუკნერს უთქვამს, ნაკრებიდან წასულებს არ შევეხვეწებიო და ნედვედმაც გული აიყარა.

ჩეხებმა ხუთივე საშინაო შეხვედრა მოიგეს, დღესაც თუ იმარჯვეს, პლეიოფს გაინაღდებენ.

რუმინელებმა უნდა მოიგონ ჰელსინკში, მაგრამ მათი ბედი მაინც ჩეხებზე ჰკიდია. ჩეხეთმა თავის მხრივ ჰოლანდია თუ დაამარცხა, მაშინ რუმინეთს ფინეთში გამარჯვება მხოლოდ ოქმისთვისღა გამოადგება.

ფინელებს ხუთი ფეხბურთელი ჰყავთ ტრავმირებული — პეტერ პასანენი, ჰანუ ტიინენი, ტონი კალიო, აკი რიიჰილატდი და ფორვარდი ჰენრი შეველეფი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 10 | 9 | 1 | 0 | 25:3 | 28 |
| ჩეხეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 32:10 | 24 |
| რუმინეთი | 11 | 7 | 1 | 3 | 19:10 | 22 |
| ფინეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 21:15 | 16 |
| მაკედონია | 11 | 2 | 2 | 7 | 11:24 | 8 |
| ანდორა | 11 | 1 | 2 | 8 | 4:31 | 5 |
| სომხეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 6:25 | 4 |



პედრო პაულეტას (№9) ეუსებიოს რეკორდამდე ორი გოლი უკლია

## რუსეთი ათ გოლს ითხოვს

**III ჯგუფი**

**რუსეთი — ლუქსემბურგი**

**სლოვაკეთი — ესტონეთი**

**პორტუგალია — ლიხტენშტაინი**

**იმ შემთხვევაში**, თუ სლოვაკეთი ესტონეთს ორ ბურთზე მეტი სხვაობით ვერ მოუგებს, რუსეთის ნაკრებს ბოლო ტურის წინ მეორე ადგილზე გადასვლის შანსი აქვს. საამისოდ სიომინის გუნდმა ლუქსემბურგს ათი ან მეტი ბურთის სხვაობით უნდა სძლიოს. ამის თაობაზე იური სიომინს პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, მწვრთნელმა კი უპასუხა: „ახლა 80-იანი წლები არაა. ათი გოლის გატანა არარეალურად მეჩვენება“.

ლუქსემბურგის ნაკრების თავკაცმა ისეთი რამ განაცხადა, რომ ვერ შეედავები: „მოსკოვში შანსი არ გვაქვს“.

მასპინძლებს ვადიმ ევსეევი ტრავმის, ხოლო სმერტინი და ევგენი ალდონინი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ. ევსეევს მოსკოვის დინამოელი დენის კოლოდინი შეცვლის, სმერტინს — ლოსკოვი, ალდონინს კი — გუსევი.

სლოვაკეთს ესტონელებთან მთავარმეგოლე მარეკ მინტალი და ნახევარმცველი ვლასტისლავ გრეშკო არ ეყოლებათ.

„მწვრთნელთა შტაბის ყველა წევრი თავდაუზოგავად მუშაობს, რათა ბოლო ორი გადამწყვეტი მატჩისთვის ფეხბურთელები სათანადოდ მოამზადონ. სლოვაკეთს დიდი შანსი აქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშისა და მოტივაცია ამ მხრივ არ გვაკლია. ორივე შეხვედრას შინ ვატარებთ და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს და ვფიქრობ, რომ დავალებას ფრიადზე შეასრულებენ“ — თქვა სლოვაკთა მწვრთნელმა დუშან გალისმა.

პორტუგალიას ქულა აკლია მსოფლიოს ჩემპიონატის ვიზის ასაღებად, ხოლო პედრო პაულეტას — ორი გოლი ეუსებიოს რეკორდამდე. ლუის ფელიპე სკოლარის კარგად ახსოვს შარშანდელი 9 ოქტომბერი, როცა ვადუცში ლიხტენშტაინს დაუზავდა.

„ის მატჩი საკმარისია იმისთვის, რომ ფეხბურთელებმა შეიგნონ — იოლად ვერავის მოუგებენ. შეიძლება მეტოქე რეიტინგში 150 ადგილით ჩამოგვრჩებოდეს, მაგრამ მისი შეუფასებლობა არ ეგების“ — განაცხადა ბრაზილიელმა სპეციალისტმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 10 | 7 | 3 | 0 | 30:4 | 24 |
| სლოვაკეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 23:8 | 19 |
| რუსეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 18:11 | 19 |
| ლატვია | 11 | 4 | 3 | 4 | 18:18 | 15 |
| ესტონეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:16 | 14 |
| ლიხტენშტაინ.. | 11 | 2 | 2 | 7 | 12:21 | 8 |
| ლუქსემბურგი | 10 | 0 | 0 | 10 | 4:41 | 0 |

## რამდენი რამდენის წინააღმდეგ?

**IV ჯგუფი**

**შვეიცარია — საფრანგეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**შვეიცარია:** ცუბერბიულერი სპიჩერი, მიულერი, სენდეროსი, დეჟენი, უიკი, კაბანასი, ფოგელი, ბარნეტა, ვონლანტენი, ფრეი

**საფრანგეთი:** კუპე, რევეილერი, ტურამი, ბუმსონგი, გალასი, მაკელელე, ვიეირა, მალუდა, ზიდანი, ვილტორდი, სისე

**ისრაელი — ფარერები**

**კვიპროსი — ირლანდია**



საფრანგეთის ნაკრებს მძიმე მატჩი ელის

**შვეიცარიასთან** ხვალინდელი უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ ლეგენდარულმა მწვრთნელმა მიშელ იდალგომ გამოთქვა შიში, რომ მისი ქვეყნის ნაკრები დამარცხებულთა კატეგორიას უბრუნდება. შეგახსენებთ, რომ იდალგო ის მწვრთნელია, რომელმაც მიშელ პლატინისა და ალენ ჟირესის ეპოქის ნაკრები 1984 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა, ხოლო 1978 და 1982 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე მისი ხელმძღვანელობით ფრანგებმა დიდებული ფეხბურთი ითამაშეს.

ახლა, იდალგო აცხადებს, რომ ლურჯებს შვეიცარიასთან თამაშისთვის ყველაზე მეტად დადებითი მიდგომა აკლიათ, რაც სწორედ იმითაა განპირობებული, რომ მოთამაშეებს დამარცხებულის ფსიქოლოგია აქვთ.

„კი ბატონო, შვეიცარიამ ბოლო ხანს კარგ შედეგებს მიაღწია, მაგრამ მოდი, აბა, საკითხს ფრანგული კუთხიდან შევხედოთ. განა საფრანგეთმა ამ გუნდს რომ მოუგოს გასაკვირი იქნება? ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის ნაკრებში ხომ გაცილებით უკეთესი ინდივიდუალისტები თამაშობენ. იცით, მას მერე, რაც ლონდონმა პარიზს ოლიმპიადის მასპინძლობა მოუგო და ევროპულ რეფერენდუმშიც ხმა არ მიგვიღია, ვგონებ ჩვენში პესიმისტურმა ნოტებმა იმძლავრა. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში აუცილებლად უნდა გავიდეთ“.

ამასობაში კი დიდ გულზეა შვეიცარიელი თავდამსხმელი ალექსანდერ ფრეი, რომელიც აცხადებს, რომ ლურჯების საერთოდ არ ეშინია, თუმცა საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ მოხვდეს, გულიც დაწყდება. და კიდევ, „რენის“ ფეხბურთელი არ მალავს, რომ თავად ძალიან ცუდ ფორმაშია:

„მე თუ მათამაშებენ ათი თერთმეტის წინააღმდეგ გამოვა...“

თუმცა თავდასხმაში არც ფრანგებს აქვთ საქმე კარგად. მათ შესაძლოა არ ჰყავდეთ ლივერპულელი ჯიბრილ სისე და ლიონელი სილვან ვილტორდი.

„ჩვენ ორი საუკეთესო ფორვარდის გარეშე თუ დავრჩით, ჩვეულებრივზე ნაკლებს გავიტანთ,— ამბობს მწვრთნელი რაიმონ დომენეკი, მაგრამ იმედს არ კარგავს, — თუმცა არა უშავს, გუნდს რამდენიმე სათადარიგო ვარიანტი აქვს და ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს“.

დომენეკისთვის ყველაზე ცუდი კი რა თქმა უნდა ის იქნება თუ ზინედინ ზიდანი ვერ შეძლებს თამაშს:

„ვლელავ, ვაი თუ ერთი წუთითაც ვერ შევიდეს მოედანზე“.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლიდან, უფრო ზუსტად კი დომენეკის მწვრთნელად დანიშვნიდან მოყოლებული, მიუხედავად ბევრი ეჭვისა და კითხვის ნიშნისა, საფრანგეთის ნაკრებს ერთი თამაშიც არ წაუგია.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10233 | ბოტსვანა-გვინეა | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10234 | გაბონი-ალჟირი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10235 | კაპე ვერდე-განა | 4.60 | 2.10 | 2.00 | 1.44 | 1.39 | 1.02 |
| 10236 | სენეგალი-მალი | 1.50 | 2.40 | 6.40 | 1.00 | 1.21 | 1.74 |
| 10237 | სუდანი-კოტ დიუარი | 6.00 | 2.40 | 1.55 | 1.71 | 1.23 | 1.00 |
| 10238 | ტუნისი-მაროკო | 2.50 | 2.00 | 3.90 | 1.11 | 1.52 | 1.32 |
| 10239 | რუანდა-ანგოლა | 5.60 | 2.10 | 1.80 | 1.52 | 1.36 | 1.00 |
| 10240 | კამერუნი-ეგვიპტე | 1.55 | 2.40 | 5.80 | 1.00 | 1.22 | 1.69 |
| 10241 | კონგო-ტოგო | 4.80 | 2.00 | 2.20 | 1.41 | 1.50 | 1.04 |
| 10242 | პანამა-ტრინიდადი | 3.20 | 2.00 | 2.65 | 1.23 | 1.44 | 1.13 |
| 10243 | კოსტა რიკა-აშშ | 3.10 | 2.00 | 2.70 | 1.21 | 1.44 | 1.14 |
| 10245 | კოლუმბია-ჩილე | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10246 | ბოლივია-ბრაზილია | 4.50 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.45 | 1.03 |
| 10247 | ვენესუელა-პარაგვაი | 3.30 | 2.00 | 2.70 | 1.24 | [illegible] | [illegible] |
| 10248 | ეკვადორი-ურუგვაი | 2.40 | 2.00 | 3.90 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 10249 | არგენტინა-პერუ | 1.35 | 2.80 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.05 |
| 10250 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10251 | ხორვატია-შვედეთი | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10252 | ბულგარეთი-უნგრეთი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10253 | ფინეთი-რუმინეთი | 3.90 | 2.00 | 2.30 | 1.32 | 1.44 | 1.06 |
| 10254 | ინგლისი-ავსტრია | 1.40 | 2.90 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.12 |
| 10256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 4.50 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.45 | 1.03 |
| 10257 | შოტლანდია-ბელარუსი | 1.90 | 2.10 | 5.30 | 1.00 | 1.39 | 1.50 |
| 10259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.40 | 2.90 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.12 |
| 10263 | ლიტვა-სერბეთი | 5.50 | 2.20 | 1.80 | 1.57 | 1.35 | 1.00 |
| 10265 | დანია-საბერძნეთი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10267 | ჩეხეთი-ჰოლანდია | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10268 | ბელგია-ესპანეთი | 3.85 | 2.00 | 2.30 | 1.31 | 1.43 | 1.06 |
| 10269 | იტალია-სლოვენია | 1.55 | 2.60 | 7.00 | 1.00 | 1.26 | 1.89 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15227 | სამხრეთ აფრიკა-დრ კონგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | ბენინი-ლიბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15229 | ნიგერია-ზიმბაბვე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | მალავი-კენია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | უგანდა-ბურკინა ფასო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ბოტსვანა-გვინეა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | გაბონი-ალჟირი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | კაპე ვერდე-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | სენეგალი-მალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | სუდანი-კოტ დიუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | ტუნისი-მაროკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | რუანდა-ანგოლა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | კამერუნი-ეგვიპტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15241 | კონგო-ტოგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15242 | პანამა-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15243 | კოსტა რიკა-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15244 | მექსიკა-გვატემალა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15245 | კოლუმბია-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15246 | ბოლივია-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15247 | ვენესუელა-პარაგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15248 | ეკვადორი-ურუგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15249 | არგენტინა-პერუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15250 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15251 | ხორვატია-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15252 | ბულგარეთი-უნგრეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15253 | ფინეთი-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15254 | ინგლისი-ავსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15257 | შოტლანდია-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15258 | რუსეთი-ლუქსემბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15260 | უკრაინა-ალბანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15261 | ისრაელი-ფარერები | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15262 | კვიპროსი-ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15263 | ლიტვა-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15264 | ბოსნია-სან მარინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15265 | დანია-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15266 | ნორვეგია-მოლდოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | ჩეხეთი-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15268 | ბელგია-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15269 | იტალია-სლოვენია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14227 | სამხრეთ აფრიკა-დრ კონგო | 1.35 | 2.40 |
| 14228 | ბენინი-ლიბია | 2.10 | 1.75 |
| 14229 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.20 | 2.60 |
| 14231 | მალავი-კენია | 1.85 | 1.95 |
| 14232 | უგანდა-ბურკინა ფასო | 1.85 | 1.95 |
| 14233 | ბოტსვანა-გვინეა | 1.95 | 1.85 |
| 14234 | გაბონი-ალჟირი | 1.80 | 2.00 |
| 14235 | კაპე ვერდე-განა | 2.40 | 1.40 |
| 14236 | სენეგალი-მალი | 1.06 | 2.90 |
| 14237 | სუდანი-კოტ დიუარი | 2.60 | 1.15 |
| 14238 | ტუნისი-მაროკო | 1.65 | 2.10 |
| 14239 | რუანდა-ანგოლა | 2.50 | 1.25 |
| 14240 | კამერუნი-ეგვიპტე | 1.15 | 2.60 |
| 14241 | კონგო-ტოგო | 2.40 | 1.55 |
| 14242 | პანამა-ტრინიდადი | 2.00 | 1.80 |
| 14243 | კოსტა რიკა-აშშ | 2.00 | 1.80 |
| 14244 | მექსიკა-გვატემალა | 1.04 | 2.90 |
| 14245 | კოლუმბია-ჩილე | 1.55 | 2.30 |
| 14246 | ბოლივია-ბრაზილია | 2.20 | 1.60 |
| 14247 | ვენესუელა-პარაგვაი | 2.00 | 1.80 |
| 14248 | ეკვადორი-ურუგვაი | 1.65 | 2.20 |
| 14249 | არგენტინა-პერუ | 1.03 | 2.90 |
| 14250 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 1.80 | 1.90 |
| 14251 | ხორვატია-შვედეთი | 1.80 | 1.90 |
| 14252 | ბულგარეთი-უნგრეთი | 1.45 | 2.40 |
| 14253 | ფინეთი-რუმინეთი | 2.20 | 1.70 |
| 14254 | ინგლისი-ავსტრია | 1.03 | 2.80 |
| 14256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 2.30 | 1.55 |
| 14257 | შოტლანდია-ბელარუსი | 1.25 | 2.50 |
| 14259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.07 | 2.80 |
| 14263 | ლიტვა-სერბეთი | 2.40 | 1.25 |
| 14265 | დანია-საბერძნეთი | 1.60 | 2.20 |
| 14267 | ჩეხეთი-ჰოლანდია | 1.80 | 2.00 |
| 14268 | ბელგია-ესპანეთი | 2.30 | 1.60 |
| 14269 | იტალია-სლოვენია | 1.07 | 2.80 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13227 | სამხრეთ აფრიკა-დრ კონგო | 1.70 | 1.90 |
| 13228 | ბენინი-ლიბია | 1.70 | 1.90 |
| 13229 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.70 | 1.90 |
| 13231 | მალავი-კენია | 1.70 | 1.90 |
| 13232 | უგანდა-ბურკინა ფასო | 1.70 | 1.90 |
| 13233 | ბოტსვანა-გვინეა | 1.70 | 1.90 |
| 13234 | გაბონი-ალჟირი | 1.70 | 1.90 |
| 13235 | კაპე ვერდე-განა | 1.70 | 1.90 |
| 13236 | სენეგალი-მალი | 1.90 | 1.70 |
| 13237 | სუდანი-კოტ დიუარი | 1.70 | 1.90 |
| 13238 | ტუნისი-მაროკო | 1.70 | 1.90 |
| 13239 | რუანდა-ანგოლა | 1.90 | 1.70 |
| 13240 | კამერუნი-ეგვიპტე | 1.90 | 1.70 |
| 13241 | კონგო-ტოგო | 1.70 | 1.90 |
| 13242 | პანამა-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 13243 | კოსტა რიკა-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 13244 | მექსიკა-გვატემალა | 1.90 | 1.70 |
| 13245 | კოლუმბია-ჩილე | 1.70 | 1.90 |
| 13246 | ბოლივია-ბრაზილია | 1.70 | 1.90 |
| 13247 | ვენესუელა-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 13248 | ეკვადორი-ურუგვაი | 1.70 | 1.90 |
| 13249 | არგენტინა-პერუ | 1.90 | 1.70 |
| 13250 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 1.70 | 1.90 |
| 13251 | ხორვატია-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13252 | ბულგარეთი-უნგრეთი | 1.70 | 1.90 |
| 13253 | ფინეთი-რუმინეთი | 1.70 | 1.90 |
| 13254 | ინგლისი-ავსტრია | 1.90 | 1.70 |
| 13256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 13257 | შოტლანდია-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 13259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13263 | ლიტვა-სერბეთი | 1.90 | 1.70 |
| 13265 | დანია-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 13267 | ჩეხეთი-ჰოლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13268 | ბელგია-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |
| 13269 | იტალია-სლოვენია | 2.00 | 1.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12227 | სამხრეთ აფრიკა-დრ კონგო | 1.70 | 1.90 |
| 12228 | ბენინი-ლიბია | 1.70 | 1.90 |
| 12229 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.90 | 1.70 |
| 12231 | მალავი-კენია | 1.70 | 1.90 |
| 12232 | უგანდა-ბურკინა ფასო | 1.70 | 1.90 |
| 12233 | ბოტსვანა-გვინეა | 1.70 | 1.90 |
| 12234 | გაბონი-ალჟირი | 1.70 | 1.90 |
| 12235 | კაპე ვერდე-განა | 1.70 | 1.90 |
| 12236 | სენეგალი-მალი | 1.90 | 1.70 |
| 12237 | სუდანი-კოტ დიუარი | 1.70 | 1.90 |
| 12238 | ტუნისი-მაროკო | 1.70 | 1.90 |
| 12239 | რუანდა-ანგოლა | 1.70 | 1.90 |
| 12240 | კამერუნი-ეგვიპტე | 1.90 | 1.70 |
| 12241 | კონგო-ტოგო | 1.70 | 1.90 |
| 12242 | პანამა-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 12243 | კოსტა რიკა-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 12244 | მექსიკა-გვატემალა | 2.00 | 1.60 |
| 12245 | კოლუმბია-ჩილე | 1.70 | 1.90 |
| 12246 | ბოლივია-ბრაზილია | 1.90 | 1.70 |
| 12247 | ვენესუელა-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12248 | ეკვადორი-ურუგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12249 | არგენტინა-პერუ | 2.00 | 1.60 |
| 12250 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 1.70 | 1.90 |
| 12251 | ხორვატია-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 12252 | ბულგარეთი-უნგრეთი | 1.90 | 1.70 |
| 12253 | ფინეთი-რუმინეთი | 1.70 | 1.90 |
| 12254 | ინგლისი-ავსტრია | 1.90 | 1.70 |
| 12256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 12257 | შოტლანდია-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 12259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.90 | 1.70 |
| 12263 | ლიტვა-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 12265 | დანია-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 12267 | ჩეხეთი-ჰოლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12268 | ბელგია-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |
| 12269 | იტალია-სლოვენია | 1.70 | 1.90 |

# ხუთეულის კაცი ბოისა სიენაში ჩაჯდა



გურამ [illegible] ფოტო

ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ ჩატარებული ბრწყინვალე სეზონის შემდეგ ვლადიმერ ბოისა ევროპული გრანდების სამიზნე გახდა. ჩვენი ნაკრების ლიდერის გადაბირებას არაერთი სუპერკლუბი ცდილობდა, თუმც ბოისა რამდენად გაიჭრებოდა და ბედი იტალიურ „სიენას“ დაუკავშირა.

„სიენა“ დიდი ტრადიციებისა არ გახლავთ, 90-იან წლებში ამობრწყინებული გუნდია, მაგრამ ბოლო ხანებში ევროსარბიელზე უძლიერესებში გაერია და ევროლიგის ოთხთა ფინალის მუდმივი სტუმარია. მას წვრთნის იტალიური კალათბურთის ლეგენდარული მწვრთნელი კარლო რეკალკატი, რომელიც ბოისას თვალდახუჭული ენდობა და მასზე დიდ იმედსაც ამყარებს. ვლადიმერ ბოისა ოფიციალური დებიუტი „სიენაში“ ამ უქმეებზე შედგება, როცა მისი ახალი გუნდი სერია A-ს პირველ ტურში „დორლანდოს“ შეხვდება. გუშინ ბოისას სიენაში რომ შევეხმიანეთ, საუბარიც აქედან დავიწყეთ...

— მოუთმენლად ველი დებიუტს, პირველ ტურში „დორლანდოს“ ვხვდებით და მინდა, კარგი შთაბეჭდილება მოვახდინო.

— შთაბეჭდილების მოხდენის შესაძლებლობა ამხანაგურ მატჩებშიც გქონდა. კმაყოფილი ხარ შენი თამაშით?

— რომ ვთქვა, არნახულად ვითამაშე-მეთქი, მოგატყუებ, თუმც უკმაყოფილების გრძნობა ნამდვილად არ დამრჩენია. 5 თუ 6 მატჩი ვითამაშეთ და მხოლოდ „ბენეტონმა“ და „ბარსელონამ“ მოგვიგო. მე ხან 10 ქულა და 6 მოხსნა მქონდა, ხანაც 8 ქულა და 9 მოხსნა — ერთი სიტყვით, თავი არ შემირცხვენია.

— საკმარისად ითამაშე უკვე და მწვრთნელსაც ალბათ თავის აზრი შეექმნებოდა შენზე...

— კარლო რეკალკატი მხოლოდ ბოლო ორ თამაშში გაგვიძღვა, მანამდე კი სათადარიგო მწვრთნელი გვხელმძღვანელობდა. ისე კი, რა თქმა უნდა, რეკალკატის საკუთარი აზრი გააჩნია ჩემზე, „სიენაში“ ხომ მისი გადაწყვეტილებით ჩავირიცხე.

— სადებიუტო მატჩის ხუთეულში დაწყებას ელი?

— გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, ეგ ხომ მთლიანად მწვრთნელის გადასაწყვეტია. ისე კი ამხანაგური მატჩების უმეტესობა ხუთეულში დავიწყე და ახლაც იმედი მაქვს.

— „სიენა“ „ოლიმპიაზე“ მაღალი დონის გუნდია და თამაშის სტილიც განსხვავებული ექნება. ხომ არ გაგიჭირდა?

— გამიჭირდა მხოლოდ ფიზიკურად, რადგან აქ „ოლიმპიაზე“ მეტი და მომქანცველი ვარჯიშებია. მაგრამ ერთ კვირაში ფორმაში ჩავდექი და ამასაც იოლად ავუღე ალღო. რაც შეეხება სათამაშო ტაქტიკას, „სიენას“ რაღაც განსაკუთრებული სტილი არა აქვს. ევროლიგის ყველა გუნდი თითქმის ერთნაირი სტილით თამაშობს. ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ შემქმნია, „სიენას“ სათამაშო მონახაზში იოლად ჩავჯექი.

— „ოლიმპიაში“ გამოკვეთილი ლიდერი იყავი და მანდ როგორ იქნება საქმე?

— არაფრის თქმა არ შემიძლია, ნამდვილი ბრძოლები ჯერ არ დაწყებულა. ისე, „სიენას“ გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, 4-5 მოთამაშეა გამწევი ძალა, რომლებიც დაახლოებით ერთი დონისანი არიან.

— მაგ მოთამაშეებში შენც შედიხარ?

— ალბათ კი.

— ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში „ბარსელონას“ შეხვდით, სადაც შემონდ უილიამსი თამაშობს...

— შემონდის ნახვა ძალიან გამიხარდა. სანამ მოედანზე გავიდოდით, ბევრი ვილაპარაკეთ და საქართველოს ნაკრებში გამოვლილი დღეები გავიხსენეთ.

— „სიენას“ რა მიზანი აქვს ამ სეზონში?

— რამე კონკრეტული ტიტულის მოგება კლუბის ხელმძღვანელობას ამოცანად არ დაუსახავს, ისე კი, ყველა ფრონტზე მაქსიმუმის მიღწევას ვეცდებით.

**ირაკლი პერტაია**

# ირანში ქართველი ამერიკელებს წვრთნის

## ტომარაძეს სპარსელები ემადლიერებიან



გურამ [illegible] ფოტო

„დინამოს“ ყოფილი დამრიგებელი ზურაბ ტომარაძე სამუშაოდ ირანში წავიდა. მან უკვე გააფორმა კონტრაქტი სპარსეთის უმაღლესი დივიზიონის, ეგრეთ წოდებული სუპერლიგის გუნდ „შაჰდარ გორგანთან“ და დებიუტიც მოიწყო.

„შაჰდარ გორგანი“ ირანის ჩემპიონატში ხელწამოსაკრავი გუნდი არ გახლავთ. გასულ სეზონში ამ კლუბმა სპარსული ბრინჯაო მოიგო და ახლაც დაახლოებით ასეთი ამოცანა აქვს.

ტომარაძის ახალ გუნდს ჰყავს ირანში და სრულიად აზიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი 223-სანტიმეტრიანი მოთამაშე. „შაჰდარ გორგანში“ თამაშობენ ასევე ამერიკელი ლეგიონერები, რომელთაგან ერთ-ერთი გასულ სეზონში აზიის საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

„ტომარაძემ უკვე მოაწერა ხელი ერთწლიან კონტრაქტს და ირანის ჩემპიონატში დებიუტიც ჰქონდა. პირველი მატჩი მისმა გუნდმა, სამწუხაროდ, წააგო, თუმც ამას თავისის ობიექტური მიზეზი აქვს — გვითხრა ირანში ერთ-ერთმა ყველაზე მარიფათიანმა აგენტმა ამირმა — „შაჰდარ გორგანის“ ამერიკელი ლეგიონერები ცოტა დაგვიანებით ჩამოვიდნენ და გუნდთან ერთი-ორჯერ თუ მოასწრეს ვარჯიში. სამაგიეროდ, მომდევნო მატჩში ტომარაძის გუნდი უფრო შეკრული ჩანდა და გაიმარჯვა კიდეც. ზურაბით აქ ყველა კმაყოფილია. ის კარგად უძღვება თავის საქმეს და ვფიქრობ, შედეგიც ექნება. მას გუნდმა თარჯიმანი დაუქირავა. ასე რომ, ენის ბარიერიც არ არსებობს“.

**ირაკლი პერტაია**



რეგულარული ჩემპიონატი

# მშვიდი, გულხელდაკრეფილი დიადი უეინი



უეინ გრეცკი

**სენტ ლუისი 3:4 დეტროიტი**

1:2 0:2 2:0

1:0 როუჩი (9), 1:1 ლანგი (14), 1:2 სამუელსონი (16), 1:3 ფიშერი (37), 1:4 შენაჰანი (39), 2:4 (46), უეიტი (46), 3:4 მაკამონდი (47)

**„დეტროიტი“** ზედიზედ მეორედ ამარცხებს მედივიზიონე მეტოქეს, თუმც ამჯერად ფავორიტს გაცილებით მეტი ძალისძმევა დასჭირდა, ხოლო გუნდის ერთ-ერთ ლიდერ ბრენდან შენაჰანს ახალი წესების არსი გააგებინა: „თუ ადრე ორი-სამი შაიბის უპირატესობა საკმარისი იყო, ახლა ყოველთვის ბოლომდე უნდა ითამაშო, თორემ მწარედ ინანებ“.

**რეინჯერსი 3:4 მონრეალი**

2:2 0:1 1:0 0:1

1:0 ჰოსა (2), 1:1 რაიდერი (10), 1:2 ჰიგინსი (15), 2:2 რუჩინსკი (17), 2:3 პერეჟოგინი (27), 3:3 მური (58), 3:4 რაიდერი (63)

**სეზონში** პირველი საოვერტაიმო გოლის ავტორი მონრეალელი მაიკ რაიდერი გახდა. ფორვარდმა ბულიტების სერიაში ბედის გამოცდასა და ნერვიულობას მყისიერი დარტყმა ამჯობინა, რომელიც „რეინჯერსის“ მეკარე კევინ უიკსისთვის სრული სიურპრიზი გამოდგა, ხოლო კანადურ კლუბს ზედიზედ მეორე მოგება მოუტანა.

**ლოს ანჯელესი 3:2 ფინიქსი**

1:1 2:1 0:0

0:1 კოლანოსი (10), 1:1 რობიტაილი (16), 2:1 ფროლოვი (29), 2:2 დემიტრა (32), 3:2 საპრიკინი (35)

**ჯერჯერობით** უეინ გრეცკის მხოლოდ წარსულის დიდების დამადასტურებელი ფაქტებით ტკბობა უწევს, აწმყო კი არ სწყალობს. წლეულს „ფინიქსის“ თავკაცად დანიშნული გრეცკი ახალ ამპლუაში ეწვია ლოს ანჯელესს, ანუ იმ ქალაქს, რომელშიც მისი კარიერის ხანგრძლივმა და საკმაოდ მნიშვნელოვანმა ეტაპმა გაიარა. ნჰლ-ის ისტორიაში №1 ჰოკეისტი უაღრესად თბილად მიიღეს. მეორე პერიოდის მსვლელობისას მის საპატივცემულოდ დაწერილი სიმღერა „SIMPLY THE BEST“ (უბრალოდ საუკეთესო) აჟღერდა და შუქფარზე სათადარიგოთა სკამზე მყოფი უეინი აჩვენეს, რომელიც საკმაოდ კარგ გუნებაზე იყო.

ცხადია, გრეცკი თამაშის დროსაც მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო. უნდა ითქვას, რომ ოქროსფერ ჟაკეტში გამოწყობილი და ჰალსტუხიანი გრეცკი დიდებულად გამოიყურებოდა, მაგრამ ამასთან ერთად სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ იგი ზედმეტად მშვიდად უძღვება გუნდს. უფრო სწორად, მისი მუშაობა საერთოდ არ ჩანს, ვინაიდან უეინი მხოლოდ თამაშს ადევნებს თვალს და დროდადრო გულხელს თუ დაიკრეფს. არადა, გუნდს რომ გაძღოლა სჭირდება, მისი სტარტიც მეტყველებს. ორ თამაშში ორი მარცხი, მით უმეტეს, რომ „ფინიქსი“ მეტოქეებზე სუსტად გამოიყურებოდა. თანაც ამჯერად „კოიოტები“ თავშეუკავებლობის მსხვერპლნიც გახდნენ. მათ წესების არაერთხელ დარღვევა მასპინძლების მიერ რიცხვმრავლობაში გატანილ ორ გოლად დაუჯდათ. სწორედ ფროლოვისა და დემიტრას ამ შაიბებმა გადაწყვიტა თამაშის ბედი.

...პირველი ნაბიჯები სამწვრთნელო ასპარეზზე გრეცკის გაცილებით უჭირს, ვიდრე ოდესღაც ჰოკეის თამაში.

**სამველ ლარიბიანი**



# სექსუალური მოძალადე მწვრთნელი

**ათენის** ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ მარკ ტომსონს, ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრების თავკაცს, წლის მწვრთნელის წოდება მიანიჭეს, თუმცა ამჟამად ისე აქვს საქმე, რომ შეიძლება წოდებაც უკან დარჩეს და ციხეშიც ამოყოს თავი.

ტომსონს, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის, ბრუკ ჰანსონის მწვრთნელიც გახლავთ, 1998 წლის ამბები ამოუქექეს და მელბურნის სასამართლომ ამის თაობაზე უკვე დაიწყო გამოძიება.

„სექსუალური ძალადობა“ — ასეთია ბრალდება. სახელიან მწვრთნელს თურმე 14 და 16 წლის ორ მოზარდ გოგონასთან ჰქონია არცთუ მამაშვილური ურთიერთობა და თუ ეს ამბავი დაუმტკიცდა, ტომსონს იქ უკრავენ თავს, სადაც საჭიროა.

**ლადო ფულუკიძე**

ჭიდაობა

# მსოფლიოზე უშედეგობა ევროპამ უნდა გამოასწოროს



**თავისუფალი სტილის მოჭიდავეთაგან მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი მედლის მოპოვების შემდეგ ბერძენ-რომაელებისგან არანაკლებ წარმატებას ველოდით. ბეგი დარჩიას გუნდი ბუდაპეშტში ერთ-ერთი ლიდერი, რამაზ ნოზაძის გარეშე კი ჩავიდა, მაგრამ შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი მოჭიდავე იყო, თავიანთ წონაში ფავორიტებად რომ ითვლებოდნენ. სამწუხაროდ, ჩემპიონატმა ისე ჩაიარა, ქართულმა შვიდეულმა ერთი ბრინჯაოს მედალიც კი ვერ მოიპოვა. საქართველოში დაბრუნებულ ნაკრების თავკაცს ჭიდაობის ფედერაციაში ტკბილი საუბრები რომ არ ექნებოდა, ძნელი გამოსაცნობი არც იყო. ბოლო დღეებში კულუარებში დარჩიას თანამდებობიდან გადადგომაზეც ალაპარაკდნენ. ინფორმაცია გუშინ თავად ბეგი დარჩიასთან გადავამოწმეთ. ნაკრების თავკაცმა წარუმატებელი გამოსვლის მიზეზებზეც მოგვითხრო.**

— რომ გითხრათ, ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატიდან სასწაულ შედეგს ველოდი-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ უმედლოდ ნამდვილად არ უნდა დავრჩენილიყავით. უკვე წარსულია და ჩემს ჩემპიონატამდელ შეხედულებას გაგიმხელთ. ყველაზე მეტად ირაკლი ჭოჭუასი (55კგ) და მანუჩარ კვირკველიასი (74კგ) მეიმედებოდა. სამწუხაროდ, ჭოჭუამ კუბელ მსოფლიოს ჩემპიოთან დასანანი მარცხი იწვნია. შეხვედრის ბედი მსაჯის შეცდომამ გადაწყვიტა. ვერ ვიტყვი, ირაკლის ჩაგრავდნენ-მეთქი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არა ის ერთი არასწორი გადაწყვეტილება, მსუბუქ წონაში მედალი გვექნებოდა. კვირკველიამაც ბრწყინვალედ დაიწყო. მოუგო ბელარუსს, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, ამ წონაში საუკეთესო იყო. მერე თურქთანაც ისე დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, თუ წააგებდა. პირველი პერიოდის 6:0 მოგების შემდეგ ჩოქბჯენის გამოყენება შეეძლო. ეს მანუჩარის კოზირი ყოველთვის იყო, თუმც ამჯერად არაფერი გამოუვიდა. როგორც თავად გვითხრა, ნეკნის ძვლის ტრავმამ შეახსენა თავი და უპირატესობა ამან დაათმობინა. სხვა შემთხვევაში ჩოქბჯენში ფანდებს არაფრით არ გაუშვებდა.

– როდესაც მიზეზებზე ვსაუბრობ, პირველ რიგში ნაკრების მთავარი დანაკლისი უნდა ვახსენო. ჩვენი ოლიმპიური და მსოფლიოს პრიზიორი რამაზ ნოზაძე (96კგ) ბუდაპეშტში გუნდის ლიდერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტრავმის გამო ჭიდაობა ვერ შეძლო. ეს ნაკრებს ძალიან დაეტყო. მართალია, ნოზაძის ადგილი მსოფლიოს ჩემპიონმა მუხრან ვახტანგაძემ დაიკავა, მაგრამ 96 კილოგრამში მუხრანის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. აქამდე ხომ იგი 84-ში ჭიდაობდა. ვახტანგაძის გარდა წონაშეცვლილი კიდევ ორი კაცი გვყავდა. სამწუხაროდ, ისე ვერ გაისარჯნენ, როგორც ადრე. ეს გამართლება არაა, მაგრამ...

... ცალკე სასაუბრო თემაა ახალი წესები. ჩვენი ხელცარიელი დარჩენა ყველაზე მეტად სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა. წლეულს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ წესები ოთხჯერ შეცვალა და წარმოიდგინეთ, რამდენჯერ დაგვჭირდა მოსამზადებელი სტრატეგიის შეცვლა. გაგიჩნდებათ კითხვა, ეს წესები მარტო ჩვენთვის ხომ არ შეუცვლიათო. ვაღიარებ, სხვებმა უფრო ადვილად აულეს ბოლო. ბოლო ცვლილებები თვენახევრის წინ განხორციელდა. იმ დროს ბ[illegible]ანში ფიზმომზადება [illegible] და [illegible] ლიჩზე [illegible] დაგვაგვიანდა. ალბათ ჯობდა, ცოტა ავჩქარებულიყავით. ახალი წესები აშკარად გადასახედია. ამას წარუმატებლობის გამო არ ვამბობ. ეს საერთო აზრია და ნოემბერში გასამართ ფილას კონგრესზე აუცილებლად შეიცვლება, უკვე მეხუთედ.

... საქართველოში დაბრუნებულს, ცხადია, უსიამოვნო საუბრების მოსმენა მომიხდა. გუშინ პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა და ქართულმა საჭიდაო ოჯახმა მომხდარზე დაწვრილებით იმსჯელა. ალალად ვამბობ, მზად ვიყავი, ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან გადავმდგარიყავი, მაგრამ გადაწყვიტეს, შანსი კიდევ მოეცათ. ეს შანსი 2006 წლის ევროპის ჩემპიონატია. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრები დიდ ტურნირზე უმედლოდ პირველად დარჩა და ალბათ ესეც გაითვალისწინეს.

– გაზაფხულამდე შემადგენლობა შეიძლება მნიშვნელოვნად გადახალისდეს. ამის თქმის საბაბს კანდიდატთა შორის ჯანსაღი კონკურენცია მაძლევს. საუკეთესოებს კი იანვრის ბოლოს ჩასატარებელი საქართველოს ჩემპიონატი გამოავლენს. მასზე ტრადიციულად ყველა უძლიერესი მოჭიდავე გამოვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჩოგბურთი

## კოკა-კოლას თასი






ირაკლი უშანგიშვილი

კოკა-კოლას თასი.
5-9 ოქტომბერი

კაცები

**მეორე წრე**

**რეზო ოსაძე (4)** — სანდრო თოფურიძე 6:4 6:2, **სოზარ გოძაძე (8)** — გიორგი ხმიადაშვილი 4:6 6:2 6:0; **დავით კვერნაძე (2)** — ზვიად ზაალიშვილი 6:1 6:3

**მეოთხედფინალი**

**ირაკლი უშანგიშვილი (1)** — რეზო ოსაძე (7) 6:2 6:3; **გიორგი ჭანტურია (6)** — ვიქტორ მესხი (3) 6:0 6:0

ქალები

**მეოთხედფინალი**

**მანანა შაფაქიძე (1)** — ნინი ლაგვილავა 5:7 6:1 6:4; **სოფიკო ძვაცაბაია (3)** — ანა ჯღიქია 6:4 6:3; **სოფიკო შაფათავა (4)** — ეკა გორგოძე 6:2 7:6; **თეონა ცერცვაძე** — ნინო მაკაროვა 7:6 7:5

# ფრანგი თინეიჯერები თანამემამულეთა წინააღმდეგ

WTA
ფილდერშტადტი. გერმანია
მაგარსაფარი
საპრიზო 650 000 $

**II წრე**

**კიმ კლაისტერსი** (ბელგია, 2) — პაროლინა შპრემი (ხორვატია) — 6:3 6:2

**მეოთხედფინალი**

**დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) — 6:3 6:4
**ლინდსი დევენპორტი** (აშშ, 1) — ანასტასია მისკინა (რუსეთი, 8) — 6:2 3:6 6:1

**გუშინ** გაირკვა პირველი ნახევარფინალისტების ვინაობა. თუმც სანამ მეოთხედფინალური მატჩების აღწერაზე გადავალთ, შევჩერდეთ მეორე წრის ბოლო თამაშზე, რომელშიც ერთმანეთს ტურნირის მეორე ნომერი ბელგიელი კიმ კლაისტერსი და ხორვატი კაროლინა შპრემი დაუპირისპირდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა მთლიანად ბელგიელის უპირატესობით წარიმართა და მისი იოლი გამარჯვებითაც დასრულდა.

კლაისტერსი მართლაც შესანიშნავ ფორმაშია. როგორც ჩანს, ის არ აპირებს აღებული სიჩქარის შემცირებას და ზედიზედ მეხუთე ტურნირის მოგებას შეეცდება.

თამაშის შემდეგ ბელგიელი კმაყოფილი ჩანდა საკუთარი თამაშით და აღნიშნა, რომ კორტზე თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობო.

კლაისტერსის მეტოქე მეოთხედფინალში ტურნირის მეხუთე ნომერი რუსი ელენა დემენტიევა იქნება.

ნახევარფინალის პირველი საგზური სლოვაკმა ჰანტუხოვამ გაინაღდა, რომელმაც იოლად დაამარცხა იტალიელი ფლავია პენეტა.




რიშარ გასკე

ალბათ ამ უკანასკნელმა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ ჟუსტინ ენენ-არდენთან გამარჯვების შემდეგ ველარ მოახერხა სლოვაკთან მატჩისთვის კონცენტრიცია.

რაც შეეხება ჰანტუხოვას, მას შანსი ეძლევა გაიმეოროს თავისი 2002 წლის მიღწევა და ფინალში გავიდეს.

მანამდე კი სლოვაკს ნახევარფინალი აქვს სათამაშო, სადაც ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ამერიკელი ლინდსი დევენპორტი ელის. ამ უკანასკნელს ნახევარფინალში გასვლა საკმაოდ გაუჭირდა. რუსმა ანასტასია მისკინამ ამერიკელს დიდი ბრძოლა გაუმართა. მისკინამ პირველი სეტი წააგო, მაგრამ მეორის მოგება შეძლო. თუმც შემდეგ რუსმა ველარ შეინარჩუნა აღებული ტემპი, მის თამაშში იმატა უნებლიე შეცდომებმა და დევენპორტმა მესამე სეტიც იოლად, 6:1 მოიგო.

ATP
მეცი. საფრანგეთი
მაგარსაფარიანი
საპრიზო 323 250 €

**II წრე**

**რიშარ გასკე** (საფრანგეთი, 2) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — 6:2 6:2
**გაელ მონფილსი** (საფრანგეთი, 6) — არნო კლემანი (საფრანგეთი) — 6:2 6:2

**მეოთხედფინალი**

**ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი, 1) — ანდრეას სეპი (იტალია) — 6:3 6:1
**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 3) — რობინ სოდერლინგი (შვეიცარია) — 6:7 6:3 6:4

**საფრანგეთის** ქალაქ მეცში მიმდინარე ATP-ის ტურნირი ნელ-ნელა უახლოვდება დასკვნით ფაზას. ტურნირზე მოვლენები საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება.

მეცის ტურნირი შეიძლება იმ ათვლის წერტილად იქცეს, რომელიც ნათლად გამოაჩენს თაობათა ცვლის პროცესს ფრანგულ ჩოგბურთში. როგორც ჩანს, ნელნელა ახალი თაობის ფრანგი ჩოგბურთელები უკვე უახლოეს მომავალში დაჩრდილავენ უფრო გამოცდილ თანამემამულეებს. ასე განსაჯეთ, მეორე წრის მატჩებში ორი ფრანგული დერბი შედგა. ერთ მხარეს იყვნენ 18 წლის თინეიჯერები — გაელ მონფილსი და რიშარ გასკე, ხოლო მეორე მხარეს — ფრანგული ჩოგბურთის ვეტერანი არნო კლემანი და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სოლიდური გამოცდილების მქონე პოლ-ანრი მატიო.

სპეციალისტები დაძაბულ ორთაბრძოლებს ელოდნენ, მაგრამ საფრანგეთის მომავლად შერაცხულმა თინეიჯერებმა ერთნაირი ანგარიშით 6:2 6:2 — იოლად შეძლეს მოწინააღმდეგეთა დამარცხება. ახლა კი დიდ ინტერეს მათი შეხვედრა იწვევს, ვინაიდან წილისყრის გამო გასკე და მონფილსი უკვე მეოთხედფინალში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

ამის პარალელურად, უკვე ცნობილი გახდა პირველი ნახევარფინალისტის ვინაობაც. პირველი ამ ეტაპზე ტურნირის პირველი ნომერი რუსი ნიკოლაი დავიდენკო გავიდა. მან ყოველგვარი პრობლემების გარეშე შეძლო იტალიელი ანდრეა სეპის დამარცხება.

დავიდენკოს მეტოქე ნახევარფინალში ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი იქნება, რომელმაც პირველი სეტი კი დათმო შვედ რობინ სოდერლინგთან, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი მოიგო და ნახევარფინალის საგზურიც გაინაღდა.

**ქახა ლომაშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი
## 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

# ტოპალოვი თავში, პოლგარი...

**ვესელინ** ტოპალოვმა ხუთმატჩიანი მოგებების სერია მერვე ტურში უნგრელ პეტერ ლეკოსთან შეწყვიტა. ბულგარელმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა და მოჭადრაკეებს იმედი დაუბრუნა.

ტოპალოვის მსგავსად, ნახევარი ქულა დაკარგა მისმა უახლოესმა მდევარმა, რუსმა პეტერ სვიდლერმა და მათ შორის სხვაობა კვლავ ორი ქულაა.

ჩემპიონატზე ტოპალოვმა პირველი მატჩი ლეკოს მოუგო და განმეორებით შეხვედრაში უნგრელი რევანშს გეგმავდა, თუმც ბოლომდე ვერ იყოჩაღა... უნგრელმა აქტიურად დაიწყო პარტია, მსუბუქი ძალები წინ გამოიყვანა და მეტოქეს შეუტია. ტოპალოვმა ადვილად მოიგერია შავი მტერი, საპასუხოდ გაცვლებს მიმართა და 24-ე სვლაზე მეორე ყაიმი ითამაშა.

ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა გათამაშების ფავორიტმა, ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა. მან ჩემპიონატის ერთადერთ მანდილოსანს, უნგრელ იუდიტ პოლგარს სძლია და ბოლო ადგილზეც ჩააბრძანა.



ვიშვანათან ანანდი

მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. ანანდმა მე-8 სვლაზე გრძელი როქი გააკეთა, ძალები მარჯვენა ფლანგზე გადასხა და შავ მეფეს შეუტია. 23-ე სვლაზე ინდუსმა d ხაზზე ორი ეტლი დასვა, მტრის სიმაგრეეებს დაუმიზნა და ახალი იერიშისთვის მოემზადა. ვითარების განსამუხტად ეტლები პოლგარმაც გამოიყვანა, მხედრით მანევრირებას შეუდგა და ინდოელის აგრესია დროებით შეაჩერა. ამით გულმოცემულმა უნგრელმა იერიშები გააძლიერა, თუმც ანანდს ჭკუაში ველარ აჯობა და 62-ე სვლაზე თამაში შეწყვიტა.

**ლაშა გეგეჭკორი**

VIII ტური

| | | |
|---|---|---|
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 0:1 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 7 ქულა |
| 2 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 5 |
| 3 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 4,5 |
| 4 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 4 |
| 5 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 4 |
| 6 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3 |
| 7 | მაიკლ ადამსი (ინგლისი | 2,5 |
| 8 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2 |



ანანდმა პოლგარს 62-ე სვლაზე მოუგო



## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
### შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი
ჩეხეთი 2:4 ჰოლანდია
ფინეთი 0:1 რუმინეთი

III ჯგუფი
რუსეთი 3:0 ლუქსემბურგი
სლოვაკეთი 2:1 ესტონეთი

IV ჯგუფი
კვიპროსი 1:1 ირლანდია
შვეიცარია 0:3 საფრანგეთი

V ჯგუფი
ნორვეგია 1:2 მოლდოვა
შოტლანდია 2:3 ბელარუსი
იტალია 1:0 სლოვენია

VI ჯგუფი
გერმანია 4:0 უელსი
ინგლისი 1:2 ავსტრია

VII ჯგუფი
ბოსნია 5:1 სან მარინო
ლიტვა 0:2 სერბეთი
ბელგია 1:0 ესპანეთი

VIII ჯგუფი
ბულგარეთი 1:2 უნგრეთი
ხორვატია 1:0 შვედეთი

## ამხანაგური მატჩი
პოლონეთი 3:2 ისლანდია

## ინგლისი

I ლიგა. XIII ტური
ბორნმუთი 2:1 დონკასტერი
ტრანმერი 0:2 სკანთორპი

II ლიგა. XIII ტური
დარლინგტონი 1:0 მაკლსფილდი
გრიმსბი 0:1 უიკომბი
მენსფილდი 4:0 შრიუსბერი
ოქსფორდი 1:0 კარლაილი
ნოტსი 1:2 ბოსტონი
ლინკოლნი 0:1 ჩელტენემი
ჩესტერი 2:3 როჩდეილი
ბრისტოლი 0:0 ნორთჰემპტონი
რაშდენი 0:2 ბერი
ტორკი 0:0 ბარნეტი

კონფერენსლიგა XIII ტური
საუთპორტი 3:1 ფორსტ გრინი
კემბრიჯი 2:1 ტემუორთი
აკრინგტონი 2:1 ჰერეფორდი

## შოტლანდია

I დივიზიონი. IX ტური
როსი 2:2 ერდრი

II დივიზიონი IX ტური
სტირლინგი 0:0 ალოა

III დივიზიონი IX ტური
ისტ ფაიფი 1:1 არბროთი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XI ტური
ვალენსიენი 0:0 ამიენი
სეტე 1:0 ბასტია
სედანი 2:0 მონპელიე
რეიმსი 1:0 კრეტეი
ლავალი 1:0 ბრესტი
ისტრი 0:1 გენიონი
გინგამი 1:1 ლე ავრი
დიჟონი 0:2 კაენი
კლერმონი 1:0 გრენობლი

## შვედეთი

სუპერეტა. XXVIII ტური
აიკ 1:1 ფალკენბერგი

## ჰოლანდია

II დივიზიონი. XII ტური
აპელდორნი 2:2 ოსი
ვენლო 2:0 დორდრეხტი
სიტარდი 0:1 ვოლენდამი
ჰელმონდი 1:0 ჰაარლემი
კამბური 1:1 გრააფსხაპი

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXVII ტური
დროჰედა 0:0 შემროკი
ჰარპსი 0:1 დერი
შელბურნი 1:0 სტ. პატრიკსი



## XVI ეტაპი იაპონიის დიდი პრიზი
## სუძუკა

სუძუკა, 9 ოქტომბერი



ტრასის სიგრძე — 5.807 კმ
რბოლის დისტანცია — 53 წრე — 307.573 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 9.00 საათზე*

**შარშან:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 რ.შუმახერი (უილიამსი); 3 ბატონი (BAR); 4 სატო (BAR); 5 ალონსო (რენო); 6 რაიკონენი (მაკლარენი); 7 მონტოია (უილიამსი); 8 ფიზიკელა (ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2004 — ბარიკელო (ფერარი) 1.32,238 (212,8კმ/სთ)

# მიხაელი მესამესაც კარგავს

**მას შემდეგ,** რაც ორი კვირის წინ ბრაზილიურ ეტაპზე ვადამდე შევიტყვეთ „სამეფო რბოლების" გვირგვინოსნისა და ვერცხლის პრიზიორის ვინაობა, დასკვნით ორ რბოლაში გასარკვევი ორი ამბავიღა დარჩა — მესამე პრიზიორის და გუნდურ, ანუ კონსტრუქტორთა თასის გამარჯვებულის საკითხი.

უკვე ცნობილია, რომ 24 წლის ესპანელი ფერნანდო ალონსო ფორმულა 1-ის რიგით 28-ე მსოფლიოს ჩემპიონია, ერთი წლით უფროსი ფინელი კიმი რაიკონენი კი — მისი „მოადგილე". საბრინჯაო პოზიციაზე თანაბარი, 60-60 ქულით ხუან-პაბლო მონტოია და მიხაელ შუმახერი დგანან. ორივემ ასე ერთნაირად რომ დაასრულოს სეზონი, მესამე ადგილზე კოლუმბიელი გავა მეტი მოგებული ეტაპების ხარჯზე.

ერთი სიტყვით, ხუანს ხვალვე შეუძლია, მესამეობა გაინაღდოს, თუკი „სუძუკაზე" ბრძოლის მოგებას შეძლებს. თუ არა და საკითხი ერთი კვირით, ჩინეთში რბოლამდე გადაიდება.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, ბრაზილიაში დუბლმა (პირველ-მეორე ადგილი) „მაკლარენ-მერსედესი" პირველად დააწინაურა, თუმც რენოელებთან ორქულიანი უპირატესობა ბევრს არაფერს ნიშნავს და საჯინიბოთა თასის მფლობელიც 16 ოქტომბერს შანხაიში გაირკვევა.

ცნობისთვის, ალონსო „რენოს" პირველი ტრიუმფატორია და ფრანგულმა სუპერკონცერნმა იქნებ წლეულს გუნდურადაც ყველას აჯობოს, ანუ აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვოს.

გუშინ „სუძუკას" ტრეკზე პირველივე თავისუფალი ვარჯიშისას რენოელებმა ერთგვარი ფორა მიიღეს. კიმი რაიკონენის „მაკს" ძრავა დაეწვა და, ბუნებრივია, შესაცვლელი შეიქნა, ეს კი ფინელ პილოტს რბოლის სტარტზე ათი პოზიციით ჩამოაქვეითებს, წლეულს უკვე მერამდენედ.

პირველ ცდაზე მაკლარენის მეტესტე პედრო დე ლა როსამ იყოჩაღა, მეორე გასვლაზე — ტოიოტელმა რიკარდო ზონტამ. მეორე დრო მიხაელს ჰქონდა, რაიკონენი მეხუთე იყო, ალონსო — მხოლოდ მერვე.

**გია ახალაძე**



AFP სუძუკადან

კიმი რაიკონენს მერამდენედ „მერსედესის" გულმა უღალატა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ლას ვეგასიდან

# ლას ვეგასში დაიწყო

გახურდა სუმო ლას ვეგასში. მაყურებელიც არის, ხმაურიც და ნამდვილი ჭიდაობაც. გასახდელში კი, იოკუძუნა ასამორუს ფეხსა ბანენ დოჰიო ირის, ანუ საიოკუძუნო ცერემონიის შემდეგ. მოკლედ, ყველაფერი ნამდვილია.



AFP ლას ვეგასიდან

# დაღუპული რალისტი

უელსში, მსოფლიო რალის დროს დაიღუპა „პეჟოს“ თანამძღოლი მაიკლ პარკი. მისი და მარკო მარტინის მანქანა ხეს შეასკდა რბოლის დროს. სპორტსმენი ჰერეფორდშირში წმინდა ბართლომეს ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.



AFP ჰერეფორდშირიდან




AFP ბაქოდან

ეს მორიგი ბაქოური ფოტო კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მხატვრული ტანვარჯიშის ჩემპიონატი ნამდვილი მისწრებაა ფოტოგრაფებისთვის. ყირაობს ბულგარელი სიმონა პეიჩევა.



AFP ტოკიოდან

# ახლა პრინცესასთან

ფრანც ბეკენბაუერი აზიურ ტურნეს აგრძელებს. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლიკით დატვირთული კაიზერი ახლა ტოკიოშია და „გოლეოს“ პრინცესა ტაკამადოს გადასცემს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge